

1946

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



აპლ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი  
Институт истории имени И. А. Джавахишвили

504

# მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

## МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1946

179

ნაკვეთი I ВЫПУСК

თბილისი

1947

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
პრეზიდიუმის განკარგულებით

ნაკვეთის რედაქტორი მ. ბერძნიშვილი

სერიის რედაქტორი აკად. ს. ჯანაშია

## I

გ. გოჯალიშვილი

არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების  
ბაჭური იბერიის მეფე?

## II

ივ. არჯვანიძე

როსებ წილოსნის (ალი-ამედი-ეფენდის)  
საბიოგრაფიო მასალა

საკითხი: არის თუ არა ბერძნულ-ლათინურ წყაროებში მოხსენებული ბაკური იბერიის მეფე, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ახალი არ არის. ეს პრობლემა ქართლის მოქცევის საკითხის პარალელურად წარმოიშვა და მასთან კომპლექსში განიხილებოდა. ამასთანავე საკითხი ორად განშტოვდება. ერთია—არის თუ არა ბაკური საერთოდ მეფე; ხოლო მეორეა კითხვა ამ ბაკურისა და პეტრე ქართველის პაპის დიდი ბაკურის იგივეობის შესახებ, რომელიც, პეტრე ქართველის ცხოვრების მოწმობით, იბერიის პირველი ქრისტიანი მეფე იყო.

ამ ორივე საკითხის ერთად და დადებითად გადაწყვეტა ფრიად საინტერესო სურათს შეჰქმნიდა თვით ბაკურის ირგვლივ და აგრეთვე გაგვაცნობდა ქართლის კულტურული და პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვან ეპიზოდს. სწორედ ამ მხრივ გვაინტერესებს ბაკურის პრობლემა. მაგრამ სჯობს ჯერ ამ პრობლემის პირველი ნაწილი განვიხილოთ, მეფეა თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური. მხოლოდ ამ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში შეგვიძლია პრობლემის მეორე ნაწილის დამუშავებას მივყოთ ხელი, რადგან, თუ კი აღმოჩნდება, რომ ეს ბაკური მეფე არ არის, მაშინ დიდ ბაკურსა და ამას შორის იგივეობის საკითხიც თავისთავად მოიხსნება.

ბერძნულ-ლათინურ საისტორიო წყაროებში ბაკური რამდენიმეჯერ იხსენიება ხან როგორც მეფე, ხან როგორც მეფის შთამომავალი, ხან კი, ზოგიერთი მკვლევარის გაგებით, როგორც მხოლოდ წარჩინებული; ხოლო ამიანე მარცელინის ისტორიაში და ლიბანიოსის წერილებში იგი ყოველგვარი ტიტულის გარეშეა მოხსენებული.

ჯერ გადავავლოთ თვალი წყაროების ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც კი ამჟამად ჩვენთვის ხელმისაწვდომია.

ბაკურ იბერიელს, როგორც ბიზანტიის სამხედრო სამსახურში მყოფს, პირველად იხსენიებს 378 წ. ქ. ადრიანოპოლთან ბიზანტიის ლაშქარსა და გუთებს შორის მომხდარ ბრძოლასთან დაკავშირებით, ამიანე მარცელინი «... sagittarii et scutarii, quos Bacurius Hiberus quidam tunc regebat et Cassio, audius impetu calenti progressi, iamque

adversis conexi, ut immature proruperant, ita inertī discessu, priorū dia belli foedarunt<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა ბიზანტიის არმიის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა<sup>2</sup>.

მეორე ცნობა ბაკურის აგრეთვე სამხედრო მოღვაწეობისა, მაგრამ ამხელად უკვე ბრწყინვალე შედეგებიანი, მოიპოვება 394 წლის თარიღით და ეხება ბაკურის მონაწილეობას ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის დროსაც ბაკურმა,—სარდალთა შორის უმხნესმა,—პირველმა გაარღვია მოწინააღმდეგის რკალი და თვით ტირანთან მიიჭრა.

ამ დროს იგი არის Comes Domesticorum და socius Theodosii.

ბრძოლის ამ მომენტს რუფინუსი ასე გადმოგვცემს: „...duces, animantur ad caedem: et praecipue Bacurius, vir fide, pietate, virtute et animi et corporis insignis et qui comes esse et socius Theodosii mereretur, proximos quosque conto, telis, gladio passim

<sup>1</sup> Ammiani Marcellini rerum gestarum liber XXXI, cap. XII, 16. „მოისარნი და ფარიანები, რომელთაც მაშინ სარდლობდა ბაკური იბერიელი, აგრეთვე კასიონი, ფიცხელი შეტევის შედეგად ძალიან შორს გაიჭრნენ და მტერს შეებნენ; როგორც უდროოდ გახტნენ წინ, ისევე შეურაცხვეს ბრძოლის დასაწყისი (დაწყება) მხდალი უკან დახვეით“.

<sup>2</sup> ამ ბრძოლაში თითქოს ბაკური მარცხის მიხეზად მოჩანს, მაგრამ ამგვარი შთაბეჭდილება შედეგია ან თვით მარცვლიანის ან მისი წყაროს არაობიექტურობისა. თუ ამ ბრძოლის აღწერილობას თავიდან ბოლომდე გადავიკითხავთ, ადვილად მივხვდებით, რომ ბაკურის, როგორც სარდლის, მოქმედება ბრძოლის ველზე შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარეობდა. როგორც ჩანს, ბაკური მიუხედავად გუთების ეშმაკობას, რათა მოელოდინებინათ თავიანთი ცხენოსანი ლაშქარი და ამიტომ, მათი განხრახვა რომ ჩაეფუშა, ბაკურმა შეუტია, მაგრამ ეტყობა გვიან იყო; გუთების ცხენოსან ლაშქარს მოსვლა უკვე მოესწრო და გუთებმა საშინელი ძალით შემოუტყეს. მაგრამ აშკარაა, რომ ბაკურს უკანაც მოხერხებულად დაუხვეია, რაც იმითაც მტკიცდება, რომ არც თვითონ და არც მისი ნაწილი დაღუპულთა შორის არ აღმოჩნდნენ. ეს მოხერხებული უკან დახვევა, რაც ძალთა შეფარდების სწრაფი ორიენტირების გზით მიღებული გადაწყვეტილების შედეგი იყო, შემდეგში სიმხდალედ იქნა მონათლული და ეს მართალი არ უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ლაჩრულად უკან გაქცევით მაშინ, როდესაც ბაკური და მისი ჯარი მტრის შეაგულში იყვნენ შეჭრილი, თავს ვერ გადირჩენდნენ და ასეთი რამ მხოლოდ მარჯვე მანევრით შეიძლებოდა. დელბრიუჟი ამ დამარცხებას პოლიტიკურ საფუძველს უდებს. იგი წერს: «нельзя совершенно отвергнуть мысль о том, что исход сражения при Адрианополе... был обусловлен не чисто военными, но политическими причинами—причинами связанными с внутренней римской политикой» (Ганс Дельбрюк. История военного искусства в рамках политической истории, II, 83, 234).

sternit agmina hostium conferta et constipata perrumpit. Iter per millia ruentium ad ipsum Tyrannum ruptis agminibus et acervatim fuis stragibus, agit<sup>1</sup>.

გიორგი ამარტოლი ამავ ეპიზოდს ასე გადმოგვცემს: „οἱ στρατηγοί... εἰς τὸν πρόλεμον ἀνεψυχάμνησαν ἐξαιρέτως δὲ Βακούριος, ἀνὴρ τῆ πίστει καὶ τῆ εὐσεβείᾳ καὶ τῆ ἀρετῆ τῆς ψυχῆς καὶ τοῦ σώματος ἕνδοξος, πάντας τοὺς πλησίον συγχάνοντας τοῦτο μὲν τῷ κοντῷ, τοῦτο δὲ τοῖς βέλεσιν, ἔστι δὲ ὅτε καὶ τῷ ξίφει ἐστρώνυσεν, καὶ τὰ τάγματα τῶν πολεμίων συνεξευγμένα καὶ συγκεροτήμενα διέρρηξε καὶ διὰ μέσου τοῦ πληθῆους τῶν πεπτωκότων τὰς τάξεις διασχίσας καὶ τοὺς σωροὺς τῶν νεκρῶν παρὶν πρὸς αὐτὸν ἐπορεύετο τὸν τέραννον“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, რუფინუსისა და გიორგი ამარტოლის ტექსტები ერთი მეორეს სიტყვა-სიტყვით ემთხვევა, გარდა იმ განსხვავებისა, რომ რუფინუსის ტექსტი სკარბობს ერთი წინადადებით, რომელიც მიუთითებს ბაკურის სამხედრო თანამდებობაზე (... qui comes esse et socius Theodosii mereretur).

მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ გიორგი ამარტოლს ეს ცნობა ამოღებული აქვს გელასი კესარიელის შრომიდან, რომლითაც მას უნდა ესარგებლნა, მაგრამ გელასი კესარიელის შრომა არ შენახულა და ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას გ. ამარტოლის ტექსტი მას შევუდაროთ და შევამოწმოთ. გელასი კვიზიკელს კი, რომელსაც აგრეთვე უსარგებლია გელასი კესარიელის შრომით, ამ ეპიზოდზე მხოლოდ გაკვრით აქვს ნათქვამი ქართლის მოქცევის ამბის მომთხრობელი ბაკურის დახასიათების დროს, რომ „...σατρα-

<sup>1</sup> Rufini Hist Eccles. Liber II, cap 33; Patrologiae, tomus XXI, გვ. 540

<sup>2</sup> „... სარდლები... საბრძოლველად გამხნედნენ. განსაკუთრებით ბაკური. კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენითა და სათნოებით, ისე თავისი სულიერი და ხორციელი სილამაზით. ვინც მის ახლას მოხვდებოდა, ზოგს შუბით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გააარღვია მტრის ლეგიონი, რომელიც მჭიდროდ იყო შეერთებული, დამარცხებული ჯარის შუაში წყებები გასწი-გამოსწია და გვამების გორაკებს გვერდით აუხვია და თვით ტირანთან მივიდა“. იხ. de Boor II, 591—592; პროფ. ს. ყაუხჩიძის შრომა—გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ (კრებულში „მომომზილველი, გვ. 67).

რადგან ზემოთმოყვანილ რუფინუსის ტექსტსა და გიორგი ამარტოლის აქ მოცემულ ტექსტს შორის სხვა არავითარი განსხვავება არ არის, გარდა ბაკურის თანამდებობისა და მისი თეოდოსესთან მეგობრობის ფაქტის აღნიშვნისა, — ამიტომ ამ ერთი თარგმანის მოტანით ვკმაყოფილდებით.

της Ρωμαίων καταστάς, και ταίς άκρωρείαις της Παλαιστίνης των Σαρακηνών βαρβάρων επιστρατευσας πόλεμον, άκρως δει μάχισσα τήν κατ' αυτών νίκην ήρατο<sup>1</sup>.

გიორგი ამარტოლისა და გელასი კვიზიკელის ტექსტები ერთი მეორეს სრულიადაც არ ემსგავსება, საერთო წყაროდ კი მათთვის ჩვეულებრივ გელასი კესარიელის შრომას გულისხმობენ. თავისთავად ცხადია, რომ ორივეს, თუ კი მართლაც ხელთ ჰქონდათ გელასი კესარიელის შრომა, სხვადასხვანაირად უსარგებლიათ იმით, რასაკვირველია, გარკვეული საკუთარი მიზანდასახულობისდა მიხედვით; ისიც უდავოა, რომ ამ ორთაგან პირველ წყაროსთან ახლოს მდგომად გიორგი ამარტოლის ტექსტი უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც ხსენებული ეპიზოდის უფრო ვრცლად გადმოცემა.

რალა ადგილი განეკუთვნება ამ წყებაში რუფინუსის ტექსტს? როგორც მეცნიერების მიერ აღიარებულია, რუფინუსის საეკლესიო ისტორიის X და XI წიგნები წარმოადგენენ გელასი კესარიელის შრომის სათანადო ადგილების თარგმანს<sup>2</sup>.

თუ შევადარებთ რუფინუსისა და გიორგი ამარტოლის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ეპიზოდის მომთხრობელ ტექსტებს, თვალში გვეცემა მათი უჩვეულო მსგავსება, რაც ახსნას საჭიროებს. ჩვენ ხომ ასეთი ვითარების წინაშე ვდგევართ: გელასი კვიზიკელისა და გიორგი ამარტოლის ტექსტები, რომელთა საერთო პირველწყაროდაც გელასი კესარიელის შრომა ითვლება, ერთი მეორისაგან ძირითადად განსხვავდება, ხოლო გიორგი ამარტოლისა და რუფინუსის ტექსტებს შორის იგივეობის ნიშანი შეიძლება დაისვას.

აქ მხოლოდ ორი რამ არის სავარაუდო: 1. ან რუფინუსი დამოუკიდებელია გელასი კესარიელისაგან ამ ნაწილში; 2. ან მასაც ეს ეპიზოდი გელასი კესარიელის შრომიდან აქვს ამოღებული და მისი ტექსტის სახით ამ საკითხზე გელასი კესარიელის ნაშრომიდან მომდინარე ექსცერპტთა შორის ყველაზე უფრო სრული ვარიანტი გაგვაჩნია.

<sup>1</sup> „... რომელიც გაზდა რომაელთა სატრაპი და აწარმოა ომი ბარბაროს სარკინოხთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა“. იხ. მიომზილველი, გვ. 62—63.

<sup>2</sup> პრაფ. ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს ბიბლიოგრაფია ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923 წ. № 6—7. მისივე — გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ. — მიომზილველი, 54: Anton Glas—Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia—die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins. ჟურნ. Byzantinisches Archiv, Heft, 6. Leipzig—Berlin, Teubner, 1914.

ამ ორი ვარაუდიდან რომელიც არ უნდა მივიჩნიოთ სინამდვილედ, — უპირატესობა მაინც რუფინუსის მხარეზე დარჩება. ამასთანავე აღმოცენდება ჰიპოთეზა: რუფინუსის თხზულება ხომ არ წარმოადგენს გიორგი ამარტოლის წყაროს? და ეს ჰიპოთეზა, ჩვენს ხელთ ამჟამად არსებული საისტორიო წყაროების მიხედვით, უსაუფძლო არ იქნება და ძალაში დარჩება, სანამ არ აღმოჩნდება გელასი კესარიელის შრომა, რომელიც საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს.

ბაკურის შესახებ წყაროთა ეს ურთიერთ დამოკიდებულება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

შემდგომი ცნობა ბაკურზე უკვე ქართლის მოქცევის ამბის თხრობასთან არის დაკავშირებული. აქაც ჩვენ ორი სხვადასხვა ავტორის ტექსტი მოგვეპოვება, რომელთა საერთო წყაროდ აგრეთვე გელასი კესარიელის შრომაა მიჩნეული.

ცნობა ეხება იმ მითითებას, თუ საიდან მომდინარეობს ქართლის მოქცევის შესახებ ამბის მოთხრობა.

ეს ცნობა გელასი კვიზიკელს შემდეგი სახით აქვს შემოწახული: *Τούτων ἡμῶν ἑπιστάτας Βακυρίους ἠφῆγητῆς γέγονεν, ἀνὴρ ἐσλαβίστατος καὶ τὸν βασιλεῖος γέγους τῶν παρ' αὐτοῖς Ἰβήρων περιφασίστατος, σατραπίης Ῥωμαίων καταστάς, καὶ ταῖς ἀκρωτείαις τῆς Παλαιστίνης κατὰ τῶν Σαρακηῶν βαρβάρων ἐπιστρατεύσας πᾶσιμον, ἄκρας δὲ μάλιστα τῆν κατ' αὐτῶν νίκην ἤρατο*<sup>1</sup>.

ამავე ცნობას რუფინუსი ასე გადმოგვცემს: „Haec nobis ita gesta, fidelissimus vir Bacurius, gentis ipsius rex, et apud nos Domesticorum Comes, cui summa erat cura et religionis et veritatis, exposuit, cum nobiscum Palaestini tunc limitis Dux, in Jerosolymis satis unanimiter degeret”<sup>2</sup>.

რუფინუსი, როგორც ვხედავთ, აღნიშნავს გელასი კვიზიკელის მიერ გადმოცემულ ბაკურის თვისებებს და დამატებით გვაწვდის ცნობას, რომ ბაკური არის Comes Domesticorum და რომ მას, როდესაც იგი პალესტინის საზღვრის სარდლად იყო, იერუსალიმში

1. „ეს ჩვენ გვიამბო სარწმუნო ბაკურიმ, კაცმა ფრიად ღვთის მოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელთგანმა, რომელიც ვაზდა რომაელთა სატრაპი და აწარმოა ომი ბარბაროს სარკინოხთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა“. იხ. მიმოხილველი, გვ. 63.

2. Rufini, Hist. Eccles. Liber I, cap. X, Patrol. t. XXI გვ. 482.



სიკჷაოდ ერთსულოვანი ურთიერთობა ჰქონდა<sup>1</sup> ამ ცნობის ავტორთან.

თუ გელასი კვიზიკელისა და რუფინუსის ცნობებს დაწვრილებით შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ: გელასი კვიზიკელი ბაკურზე ძალიან შემჭიდროებულ ცნობას გვაწვდის, წარმოდგენილს ერთი ვრცელი წინადადებით, სადაც მოცემულია ბაკურის პირადი თვისებები და ცხოვრების მთავარი მომენტები: იბერიის სამეფო გვარის წევრობა, რომაელთა ჯარის სარდლობა (ზოგადად) და მისი წარმატებითი ბრძოლა პალესტინის მწვერვალებზე სარკინოზთა წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, გელასი კვიზიკელი გვაწვდის ჩვენ ბაკურის მხოლოდ ზოგად პორტრეტს, გაკვრით მოხაზულს, ყველა იმ ცნობის მოკლედ გამოყენებით, რაც მისთვის თუ მისი წყაროს—გელასი კესარიელისათვის ხელმისაწვდომი იყო.

რუფინუსი სამაგიეროდ ბაკურზე უფრო ვრცელსა და დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის, ისევე როგორც სხვებთან შედარებით ვრცელი ცნობები აქვს ბაკურზე მოცემული პალესტინაში ბრძოლასთან დაკავშირებით, რაც ზემოთ დავინახეთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ორი ტექსტის ის საყურადღებო განსხვავება, რომ გელ. კვიზიკელი ბაკურს მეფის შთამომავლად (τοις βασιλευσιν γένους) სთვლის, რუფინუსი კი მეფედ (gentis ipsius rex).

ამგვარად, ქართლის მოქცევის ამბავთან დაკავშირებული ბაკურის შესახებ რუფინუსის ცნობაში რამდენიმე საინტერესო მომენტი შეინიშნება, რითაც რუფინუსის ამჯერადაც უპირატესობა მტკიცდება, სულ ერთია მიჩნული იქნება იგი ორიგინალად თუ გელასი კესარიელის ცნობის მხოლოდ მთარგმნელ-განმმეორებლად. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ანტონ გელასი რუფინუსს გელასი კესარიელის შრომის ამ თავის მთარგმნელად სთვლის, მაშინ როდესაც სხვა ავტორები ექსცერპტორები ან კომპილატორები არიან,— ცხადი გახდება რუფინუსის წყაროს უპირატესი მნიშვნელობა, რაზედაც ქვევით კიდევ იქნება ლაპარაკი. ახლა კი ჩვენ შეგვიძლიან მივუთითოთ იმ წყაროზე, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს რუფინუსის დამატებითი ცნობები ბაკურის შესახებ.

ეპისკოპოს ქრომატისადმი მიმართვაში რუფინუსი აღნიშნავს,

<sup>1</sup> «... cum nobiscum Palaestini tunc limitis Dux, in Jerosolymis satis unanimiter degeret».

რომ თავის საეკლესიო ისტორიის X და XI წიგნების დაწერისას მან არსებულ ცნობებს შეურთო საკუთარი მეხსიერებიდან ამბები: „Decimum vero et undecimum librum nos conscripsimus partim ex majorum traditionibus, partim ex his quae nostra jam memoria comprehenderat“<sup>1</sup>.

ამასვე იმეორებს იგი იმავე წიგნების წინასიტყვაობაში<sup>2</sup>.

ავტორისა და მის მიერ მოაზრობილ ამბების თანადროულობას მუდამ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა; ამიტომ უფლება არა გვაქვს რუფინუსის ამ ორგზის განცხადებას ანგარიში არ გავუწიოთ.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ბაკურის საკითხის ორგვარი გადაწყვეტა წარმოდგენილი: 1. განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილი მას მეფედ სთვლის; 2. აკად. კ. კეკელიძესა და პროფ. ს. ყაუხჩიშვილს ბაკურის მეფობა საეკვოდ მიაჩნიათ და ზოგჯერ კიდევაც პირდაპირ უარჰყოფენ მას.

საკითხი ვრცლად აქვს განხილული აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ წიგნში<sup>3</sup>, ამიტომ იქ მოხსენებულ ყოველ დადებითსა თუ უარყოფით არგუმენტს ბაკურის მეფობის შესახებ აქ აღარ გავიმეორებთ და მხოლოდ ძირითადს შევხებით.

აკად. კ. კეკელიძე იქვის ქვეშ აყენებს როგორც ბერძნულ-ლათინურ წყაროებში მოხსენებული ბაკურის მეფობას, ისე პეტრე ქართველის პაპის პირველი ქრისტიანი მეფის საკითხს და ამას იმით ასაბუთებს, რომ: 1. პეტრე ქართველის ცხოვრების „... ავტორი განგებ აზვიადებს ad maiorem gloriam Petri მისი პაპის ბაკურის პიროვნებასა და ღვაწლს; 2. შესაძლებელია, ავტორი, მეექვსე საუკუნის მწერალი, შეცდომაში შეიყვანა რუფინუსის ფრაზამ: Bacurius, gentis ipsius rex, ანა და სოკრატეს სიტყვებმა: Βαυραχδ Ἰβήρων და პირველ ქრისტიან მეფედ ბაკური მიიღო მან“<sup>4</sup>.

პირველ მუხლში აღნიშნულზე აკად. ივ. ჯავახიშვილი მართებულად მიუთითებდა, რომ პეტრე ქართველის ცხოვრების ავტორი ძალიან კარგად იყო ინფორმირებული პეტრეს ნათესაობის შესახებ იმით, რომ თვით პეტრე ქართველს თავისი ნათესაების მოსახსენებელი დაუწესებია დიდმარხვის შუაშაბათს. ამ მოსახსენებელში

<sup>1</sup> Patrologiae, tomus XXI, p. 463.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 200—206.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი საკითხები — მიმოშეხილული, გვ. 26.



დაწვრილებით ყოფილან პეტრეს წინაპარნი და ნათესავნი ჩვენი თვლილი<sup>1</sup>.

მეორე მუხლში გამოთქმული თავისი იქვი აკად. კ. კეკელიძეს იმავე გამოკვლევაში ცოტა ქვევით მკაფიო დებულებად აქვს ჩამოყალიბებული. იგი წერს: „ის ბაკური, რომელმაც რუფინოზს იბერთა მოქცევის ამბავი გადასცა, არ ყოფილა არც პირველი ქრისტიანი მეფე და არც პეტრე მაიუმელის პაპა<sup>2</sup>“. და შემდეგ ავითარებს რა ამ აზრს, ამბობს, რომ რუფინუს-გელასის მოსაუბრე ბაკური სხვა ბაკური იყო, რომ იერუსალიმელი ბაკური, იბერთა მოქცევის მომთხრობი, არ იყო „დიდი ბაკურ მეფე“, პეტრე მაიუმელის პაპა, რადგან თურმე ეს მთხრობელი ბაკური 394 წლის ფრიგიდუსთან ბრძოლაში მოუკლავთ, მაშინ, როდესაც დიდი ბაკური სიკვდილით დაუსჯიათ სპარსეთის მეფის ბანაკში მომხდარი ინციდენტის შედეგად<sup>3</sup>.

ამ უკანასკნელის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი უპასუხებდა, რომ ამგვარი დასკვნა პეტრე ქართველის ცხოვრების ტექსტის სათანადო ადგილის ყალბად გაგებაზეა დამყარებული<sup>4</sup>, და ის ურყევ კემშიარიტებას შეიცავს. რაც შეეხება ბაკურის ფრიგიდუსთან ბრძოლის დროს გარდაცვალების ამბავს, ამ მხრივ ზოსიმეს ეს ცნობა<sup>5</sup> მწერლობაში ერთადერთ ცნობას წარმოადგენს და იგი სწორადაც შეიძლება იყოს მიჩნეული<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი გვ. 202; K. Raabe—Petrus der Iberer,—გერმ. თარგმ. გვ. 16.

<sup>2</sup> მიმომხილველი, გვ. 27.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, წ. I, გვ. 201; Raabe, გვ. 18.

<sup>5</sup> Zosimi, IV, 57, 3; 58, 3.

<sup>6</sup> ბაკურის ამ ბრძოლაში მოკვლის გამო აკად. კ. კეკელიძე მიუთითებს რუფინუსსა და ზოსიმეზე, მაგრამ ანგარიშს უწყევს ამ საკითხზე მეცნიერებაში არსებულ შეზღუდულებას და შენიშვნაში წერს: „ფიქრობენ, რომ ცნობა ზოსიმე-სი, ვითომც ბაკური აღნიშნულ ბრძოლაში მოკლულ იყო, შეცდომაა, ვინაიდან რუფინოზთან საუბრის დროს ის კიდევ ცოცხალიაო (Pauly—Wissowa, Real—Encyklopedie, II, 274—275); მაგრამ ეს გაუგებრობაა: ჯერ ერთი საეკლესიო მართლად იცნობდა ბაკური რუფინოსს და მართლად ესაუბრა მას (პირველი წყარო ხომ გელასია?) მეორე, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ რუფინოზს ის ესაუბრა 394 წლის შემდეგ და არა უფრო ადრე, რუფინოზი იერუსალიმში 378 წლიდან იმყოფებოდა?!"—(მიმომხილველი, გვ. 28; შენიშვნა 3).

აქ პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ Seec-ი, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნულ ენციკლოპედიაში მოთავსებული ბაკურის შესახებ წერილი, იმყოფება უშუალოდ რუფინუსის ცნობის პირველი შთაბეჭდილების ქვეშ. ეს ცნობა მართლაც თავისი კონტექსტით ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ბაკური მაშინ ესაუბრა რუფინუსს, როდესაც მისი ცხოვრების ჩვენთვის ცნობილი

მაშასადამე, ბაკურის მეფობის უარსაყოფელ არგუმენტად მისი გარდაცვალების მომენტი არ გამოდგება. როგორც ვხედავთ, აკად. კ. კეკელიძის არგუმენტაცია ბაკურის მეფობის უარსაყოფად არ ემყარება მტკიცე ფაქტიურსა და მეთოდოლოგიურ საფუძველს, იგი უმთავრესად ვარაუდებზეა აღმოცენებული.

მეთოდოლოგიურად უფრო უკეთესად მოჩანს პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ამივე საკითხზე შეხედულება.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ორი საკითხია ერთი მეორეში გადანასკვეული: არის თუ არა ბერძნულ-ლათინური წყაროების ბაკური მეფე, და არის თუ არა იგი დიდი ბაკური.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა სწორედ ამ მხრივ განიხილა საკითხი თავის ერთს წერილში. იგი იქ წერს: „ჩვენ გავარჩევთ ტექსტების მიხედვით მართლა მეფე იყო ის ბაკური, რომელიც ქართლის მოქცევის წყაროებშია მოხსენებული თუ არა?“ და შემდეგ, უპირისპირებს რა ერთი მეორეს რუფინუსისა და ექსცერპტების სახით შემონახულ გელასი კესარიელის ცნობებს, განაგრძობს: „ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო წყაროს მიხედვით საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია და საჭიროა მათი შემოწმება მესამე წყაროს საშუა-“

ამბები უკვე მომხდარია. მაგრამ მართლ ამისდა მიხედვით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ არ არის შესაძლებელი ბაკურისა და რუფინუსის საუბრის თარიღი უფრო ადრე დავდოთ, პირიქით, სწორედ ეს საუბარი ადრეა სავარაუდებელი, მით უმეტეს, თუ ზოსიმეს ცნობას სერიოზულ ანგარიშს გავუწევთ.

უფრო სადავოა აკად. კ. კეკელიძის იქვე ბაკურისა და რუფინუსის ნაცნობობაზე. ჩვენ ქვევით, წყაროთა დაპირისპირების ნიადაგზე მიღებული დასკვნების შედეგად, ვსვამთ საკითხს, თუ ვისი ინფორმატორია ბაკური—გელასი კესარიელისა თუ რუფინუსისა. აქ კი არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებას, რომ აკად. კ. კეკელიძეს თავის გამოკვლევის სწორედ წინაშეაღდგენილი ორჯერ ხაზგასმითა აქვს აღნიშნული ბაკურისა და რუფინუსის ურთიერთობა. იგი წერს: „... ის ბაკური, რომელმაც რუფინოსს იბერთა მოქცევის ამბავი გადასცა“ და სხვა (მიმომხილველი, გვ. 27). მეორე: „... ჩვენ გვგონია, რომ რუფინოზ-გელასის მოსაუბრე ბაკური“ და სხვა (იქვე). ხოლო 23 გვერდზე აღიარებს: „შესაძლებელია ბაკური რუფინოსსაც იცნობდა, ვინაიდან ისიც მის დროს ცხოვრობდა პალესტინაში და იბერთა მოქცევის ამბავი მასაც უამბო“-ო.

როგორც Seck-ის შესახებ ვთქვი, აქაც უნდა აღვნიშნოთ, რომ აკად. კ. კეკელიძის ეს რწმენა, რომ ბაკური ესაუბრა რუფინუსს, მომდინარეობს იმ შთაბეჭდილებიდან, რომელიც მკვლევარს შეუძლია მიიღოს უშუალოდ ტექსტებზე მუშაობის დროს და სწორედ ეს გარემოება იყო, რომ მკვლევარს ამ ცნობის სინამდვილეს შთააგონებდა. იქვე რუფინუსისა და ბაკურის ნაცნობობაზე სერიოზულ საფუძველს მოკლებულია.

<sup>1</sup> პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ. მიმოხილველი, გვ. 66.



ლებითა“-ო. ეს გზა, რა თქმა უნდა, სავსებით სწორია. ასეთი მესამე საკონტროლო წყარო პროფ. ს. ყაუხჩიშვილს მოუძებნია: „საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ მოგვეპოვება კიდევ ერთი წყარო ანალოგიური წარმოშობისა. ეს არის გიორგი ამარტოლი, რომელსაც გელასი კესარიელით უსარგებლნია. გ. ამარტოლს, საზოგადოდ, სჩვევია, წყაროების მოყვანა სიტყვა-სიტყვით“-აო, წერს იგი<sup>1</sup>. და განიხილავს რა გიორგი ამარტოლის ტექსტში დაცულ ცნობას ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდზე, დაასკვნის: „ის გარემოება, რომ გიორგი ამარტოლს ბაკური მეფედ კი არა, მარტივად *ἀρχῆς*-ის სახელწოდებით ჰყავს მოხსენებული, იმას უნდა ჰმოწმობდეს, რომ გელასი კესარიელსაც იგი მეფედ არ უნდა ჰყოლოდა მოხსენებული, და მაშასადამე, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით მოხსენებული ბაკური მეფე არ უნდა ყოფილიყო“-ო.

ამგვარად, თითქოს ჩვენ გამოგვიჩნდა მესამე საკონტროლო წყარო, რომელმაც რუფინუსის ან გელასი კესარიელის (უკეთ რომ ვთქვათ, გელასი კვიზიკელის) ცნობას ერთ-ერთს უნდა დაუჭიროს მხარი და სინამდვილის შემოწმების შესაძლებლობა მოგვცეს. მაგრამ რამდენად შეუძლიან გ. ამარტოლის ცნობას ამგვარი ფუნქციის შესრულება?

აკად. ივ. ჯავახიშვილი პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ამ მოსაზრებაზე შენიშნავდა: „ეს დასკვნა სრულებით სწორე იქნებოდა, გიორგი ამარტოლს რომ წყაროების სიტყვა-სიტყვით მოყვანა „თითქმის“ კი არა, არამედ ყოველთვის სწორედ სიტყვა-სიტყვით სჩვეოდეს. მაგრამ ამის თქმა სამწუხაროდ შეუძლებელია. ამავე დროს ჩვენ მსჯელობა ამ ბაკურის ვინაობაზე გ. ამარტოლის სიტყვაზე რომ დაგვეყარებინა, მაშინ უნდა დაგვესკვნა, რომ ბაკური არამც თუ მეფედ არა ყოფილა, მეფის შთამომავლადაც არ უნდა ყოფილიყო, რადგან გ. ამარტოლს ბაკურის შესახებ არც ეს აქვს აღნიშნული და მხოლოდ ნათქვამი აქვს: „ბაკური კაცი ყოვლად ღირსეული როგორც რწმენით და სათნოებით, ისეთავისი სულიერი და ხორციელი სილამაზითა“-ო. ის აქ უბრალო კაცად მოჩანს. ცხადია, მაშასადამე, რომ ამ შემთხვევაში გ. ამარტოლს თავისი წყაროს ცნობა არამც თუ სიტყვა-სიტყვით არ მოჰყავს, არამედ

<sup>1</sup> იხ. მიმომხილველი, გვ. 67.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 68.



შინაარსიც კი უკლებლივ გადმოცემული არა აქვს. ამის გამო საკითხის გამორკვევის დროს გ. ამარტოლის ტექსტზე დამყარება არ შეიძლება<sup>1</sup>-ო.

თუ წყაროებს თვალს გადავაგვლებთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ რუფინუსისა და გელასი კვიზიკელის ცნობებში მოცემულია ბაკურის ბიოგრაფიული ელემენტი; გ. ამარტოლის ცნობა კი სულ სხვა ხასიათისაა, მისი ცნობიდან ბიოგრაფიული ელემენტი გამოირიცხულია, იქ მოცემულია მხოლოდ ბაკურის, როგორც სარდლისა და ადამიანის, თვისებათა დახასიათება. გ. ამარტოლის ცნობის კონტექსტი გამორიცხავს ბაკურის სხვა რამე ტიტულის დასახელებას, რადგან ბაკური დახასიათებულია მხედართმთავართა ჯგუფთან შედარებაში. ავტორი ასახელებს სარდლებს, რომელთა შორისაც ბაკური გამოირჩეოდა მხედართმთავრული ნიჭითა და სიმამაცით, აგრეთვე ადამიანური, სულიერი და ხორციელი თვისებებით. სწორედ ამიტომ არის იქ ნახმარი სიტყვა *ჯურქ* და არა იმიტომ, რომ ამით აღნიშნული ყოფილიყო ვითომც ბაკური არც მეფეა, არც მეფის შთამომავალი და მხოლოდ უბრალო კაცი იყო.

თვით ამ *ჯურქ*-ის მომდინარეობაც ადვილი დასადგენია. როგორც პროფ. ს. ყაუხჩიშვილი აღიარებს, გ. ამარტოლს გელასი კესარიელის უსარგებლნია<sup>2</sup>. ეს, რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, მაგრამ რადგან გელასი კესარიელის შრომა შენახული არაა, ამიტომ ასეთი ვარაუდის შემოწმებაც პრობლემატურია. სამაგიეროდ არ შეიძლება უგულვებელყოთ ამარტოლის ცნობის რუფინუსის ტექსტის სათანადო ადგილთან იგივეობის ფაქტი. თუ ამ ორ ადგილს ერთი მეორეს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ამარტოლს არ მოეპოვება მხოლოდ ბაკურისა და თეოდოსე კეისრის შორის მეგობრული დამოკიდებულების აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა<sup>3</sup>. სხვა დანარჩენში კი ტექსტები ერთი-მეორეს სავესებით ემთხვევა და, სხვათა შორის *ჯურქ*-ი შეესატყვისება რუფინუსის ტექსტის ლათინურ სიტყვას *vir*. აქედან ცხადი ხდება, რომ ამარტოლს ამ სიტყვით ბაკურის მდგომარეობის გადმოცემის განზრახვა არ უნდა ჰქონოდა, არამედ იგი წარმოადგენს იმავე რუფინუსის (შესაძლებელია გელასი კესარიელისაგან მომდინარე) ცნობის გადმოლებას, რომელსაც ბაკური სათანადო ადგილს, სადაც ეს მოსალოდნელი და შესაფერიც იყო, მეფედ ჰყავს მოხსენებული, ხოლო აქ კი მას იხსენიებს როგორც

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I. გვ. 206.

<sup>2</sup> მიმოხილველი, გვ. 67.

<sup>3</sup> შეად. ხემათ ტექსტები (გვ. 2—3).



ბიზანტიური სამსახურის თანამდებობის პირს comes, რომელიც იყო socius Theodosii, თანაც დაურთავს მის პირად ღირსებათა შესახებ განმარტებას.

თუ წინდახედულება გვავალებს მხოლოდ სიფრთხილით აღვნიშნოთ გ. ამარტოლის ტექსტის რუფინუსის ტექსტიდან მომდინარეობის შესაძლებლობა, ის ხომ უდავოა, რომ ორივე მათგანის წყარო ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო (რასაკვირველია, თუ კი რუფინუსის ორიგინალობა შესაწყნარებელი არ არის) და ამ წყაროდ გელასი კესარიელია მიჩნეული. ამიტომ თავს იჩენს კითხვა—რომელი მათგანი უფრო სწორედ და სრულად გადმოგვცემს პირველ წყაროს? თუმცა როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს კითხვა, ამ ცნობაში ნახმარი vir და ძვირ სრულიად არ გამოდგება იმის შესატყვისად, რომ ჩვენ მან ბაკურის საზოგადოებრივი მდგომარეობა გადმოგვცეს,—ამით ავტორს მხოლოდ მიზნად ჰქონდა აღვნიშნა ბაკურის როგორც აღამიანისა და მებრძოლის თვისებები. ამიტომ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ რაკი გ. ამარტოლს: „... ბაკური მეფედ კი არა, მარტივად ძვირ-ის სახელწოდებით ჰყავს მოხსენებული, იმას უნდა მოწმობდეს, რომ გელასი კესარიელსაც იგი მეფედ არ უნდა ჰყოლოდა მოხსენებული და, მაშასადამე, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით მოხსენებული ბაკური მეფე არ უნდა ყოფილიყოს“<sup>1</sup>, როგორც ამას პროფ. ს. ყაუხჩიშვილი დაასკვნის.

სიტყვების vir და ძვირ-ის ხმარება არაფერს განსაკუთრებულს არ შეიცავს. ეს ორივე ტერმინი გელასი კესარიელსაც (გელასი კვიზიკელთან, რასაკვირველია) და რუფინუსსაც იმავე კონტექსტშიაც აქვთ ნახმარი, სადაც ბაკურის ტიტულიც მოცემული აქვთ და, მაშასადამე, ტერმინებით ძვირ და vir სხვა არაფერია გადმოცემული, თუ არა მხოლოდ მათი ჩვეულებრივი შინაარსი: კაცი, აღამიანი. გელასი კვიზიკელს ასე აქვს ნათქვამი: „... ძვირ ενλαβεισθεατος και τος βασιλειον γεισας“<sup>2</sup>, რუფინუსს კი: „fidelissimus vir Bacurius, gentis ipsius rex“<sup>3</sup>.

აქედან ცხადი უნდა იყოს ჯერ ერთი, რომ როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, გ. ამარტოლს თავისი ცნობა უნაკლებულოდ არა აქვს მოყვანილი და მეორე, რომ ძვირ-ისთვის იმ

<sup>1</sup> მიმომხილველი, გვ. 63.

<sup>2</sup> მიმომხილველი, გვ. 62.

<sup>3</sup> Patrologia, t. XXI, გვ. 482.



მნიშვნელობისა და ფუნქციის მინიჭება, რომ მასში ჩვენ ბაკურის სოფოგადობრივი თუ სოციალური მდგომარეობა აღმოვიკითხოთ, საფუძველს მოკლებულია. მით უმეტეს, რომ გ. ამარტოლის ცნობის, რომელიც ფრიგიდუსთან ბრძოლას ეხება, ქართლის მოქცევის ცნობასთან შედარება მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სწორი არ არის, ამ ორი სხვადასხვა შომენტის გადმომცემი ცნობის დამოკიდებულება ბაკურის მიმართ მკვეთრად უნდა გავარჩიოთ. ქართლის მოქცევის ამბავთან აუცილებელი და შესაფერისიც იყო ბაკურის ვინაობის დასახელება და ეს კიდევ შესრულებულია, — დეე, თუნდაც იმ მცირე განსხვავებით, რომელსაც იძლევა გელასი კვიზიკელისა და რუფინუსის გამონათქვამები. ფრიგიდუსთან ბრძოლის ეპიზოდის მოთხრობის დროს წყაროები ბაკურს განიხილავენ უკვე როგორც ბიზანტიელ სარდალს და იგი მხოლოდ ამ მხრივ აინტერესებს მათ. აქ ბაკურის მეფობაზე ლაპარაკი არც საჭირო და უადგილოც კი იყო. გიორგი ამარტოლის ცნობა ამ მეორე წყების ცნობებს მიეკუთვნება და ამიტომ იქ ბაკურის მეფეობაზე მითითების ძებნა ამაოა. ქართლის მოქცევის მოთხრობასთან დაკავშირებით კი საჭირო და ბუნებრივი იყო ამ ამბის წყაროზე მითითება, რამაც საჭირო გახადა ბაკურის ვინაობის დასახელება.

გიორგი ამარტოლს ქართლის მოქცევის ამბავი მხედველობაში არა აქვს, მას მხოლოდ ფრიგიდუსთან ბრძოლა აინტერესებს და ბაკურზეც იმას გადმოგვცემს, რაც მან ამ მომენტთან დაკავშირებულ წყაროებში ჰპოვა. ამიტომ გ. ამარტოლის *ავრ*-ის დაკავშირება სულ სხვა ეპიზოდის გამო ბაკურის მეფობის შესახებ ცნობასთან მართებული არ არის და ამაზე რამე დასკვნის დამყარება არ შეიძლება.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბაკურის შესახებ ოთხი ძირითადი წყარო გაგვაჩნია: რუფინუსი, გელასი კვიზიკელი, გიორგი ამარტოლი და ამიანე მარცელინი<sup>1</sup>. ამათგან პირველი წყაროთი ბაკური მეფეა, მეორეთი მეფის შთამომავალი, მესამეთი წარჩინებული შეიძლება იყოს (უფრო კი ტიტულის აღუნიშნავად არის მოხსენებული), მეოთხით კი მარტივად იბერიელია. ამგვარად არც ერთი ცნობა ერთი მეორეს არ ეთანხმება. სხვა, მეორადი ხასიათის წყაროთაგან მხოლოდ სოკრატეს ცნობა რუფინუსს უჭერს მხარს, რომელიც ხმარობს სიტყვებს; «βασίλειος Ἰβήρων»<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ლიბანიოსის წერილებში ბაკურის შესახებ დაცული ძვირფასი მასალა სხვა განხრით არის საინტერესო და იგი სხვა შემთხვევაში იქნება გამოყენებული.

<sup>2</sup> მიმომხილველი, გვ. 26.



თუ აღნიშნულ წყაროებს ქრონოლოგიური თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ თავდაპირველ წყაროსთან, რომლიდან მომდინარედაც ეს ცნობები მიჩნეულია, ე. ი. გელასი კესარიელის ჩვენამდე მოუღწევველ საეკლესიო ისტორიასთან, რომლის ავტორიც 395 წელს გარდაიცვალა, — ყველაზე ახლო დგას რუფინუსი, რომელმაც თავისი შრომის წერა 402 წ. დაიწყო და რომელიც ჩვენთვის საინტერესო ამბის მომსწრე და თანადამხდურია. შემდეგ მოდის გელასი კვიზიკელი, რომლის შრომის დაწერის თარიღადაც 475 წელია მიჩნეული; მერე გიორგი ამარტოლი, IX საუკუნის (842—867) მოღვაწე, და, ბოლოს, ყველა ამათგან განზე მდგომი ამიანე მარცელინი, რომელიც, თუმცა ქრონოლოგიურად გელასი კესარიელთან ახლოს დგას, მაგრამ ბაკურზე მცირე მასალას გვაუწყებს. მაშასადამე, უპირატესობა, შინაარსისა და ქრონოლოგიური მხრივაც, რუფინუსის მხარეზეა. ამიტომ მეტად უცნაურია მკვლევართა მიერ ერთგვარი მიჩქმალვა რუფინუსის ცნობებისა, თუ მთლად უგულვებელყოფა არა. თუ გამოკვლევებს თვალს გადავაგვლებთ, აშკარად შევნიშნავთ, რომ სხვათა ცნობებს ყოველთვის უპირატესობას აძლევენ რუფინუსის ცნობების წინაშე და ერთგვარი უნდობლობითაც კი ეპყრობიან მას.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი უკვე ხსენებულ გამოკვლევაში წერს: „ჩვენ ეხლა უკვე ვიცით, რომ რუფინუსზე დამყარება შეუძლებელია, — რადგან საბოლოოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ რუფინუსი ამ შემთხვევაში ბერძნული წყაროს თარგმანია და სრულიად სამართლიანი იქნება, თუ ჩვენ რუფინუსის სიტყვების შესამოწმებლად ბერძნულ პირველწყაროს მივმართავთ“<sup>1</sup>. — და მართლაც მიმართავს გელასი კვიზიკელს. მაგრამ საკითხავია: გელასი კვიზიკელსა თუ რუფინუსს უნდა მიენიჭოს პირველწყაროს მნიშვნელობა? მართალია, გელასი კვიზიკელის შრომა ბერძნულად არის დაწერილი და საფიქრებელია, ბერძნულადვე დაწერილი გელასი კესარიელის შრომასთან უფრო ახლოს იდგეს რუფინუსის ლათინურ თარგმანზე, მაგრამ ჩვენ არც ერთის შედარება მათს თავდაპირველ დედანთან არ შეგვიძლია, — გასაგები მიზეზის გამო, — რათა გადაგვიწყვიტნა რომელი უფრო კეთილსინდისიერი აღმოჩნდებოდა. მაგრამ ერთი რამ კი ჩვენ ხელთ არის: ჩვენ ვადარებთ გელასი კვიზიკელისა და რუფინუსის ტექსტებს ქართლის მოქცევის შესახებ

<sup>1</sup> მიმომხილველი, გვ. 66.



და ვრწმუნდებით, რომ მათ შორის განსხვავება არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გელასი კვიზიკელის მიერ ჩანართად ცნობილ რამდენიმე მომენტს<sup>1</sup>.

აქედან თუ იმ დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, რომ რუფინუსის ტექსტი უფრო ახლოს დგას გელასი კესარიელის ტექსტთან, იმის თქმა კი გარკვევით შეიძლება, რომ რუფინუსი არა სცოდავს პირველწყაროს მიმართ; თუ აქედან იმ დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, რომ რუფინუსს უნდა მიეცეს უპირატესობა, როგორც წყაროს უცვლელად მთარგმნელს, — გელასი კვიზიკელის წინაშე, რომელიც ექსცერპტორი და ინტერპოლატორია, — რუფინუსის უგულვებელყოფა კი სრულიად გაუმართლებელია<sup>2</sup>.

სწორედ აღნიშნულის საფუძველზე ბუნებრივად გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ ბაკურის ვინაობის გადმოცემისას სიმართლედ რუფინუსის მხარეზეა, რადგან, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუფინუსს ბერძნული დედნის სისწორითაც გადაღება არ შეეძლო, რომ გელასი კესარიელის გამონათქვამი „მეფეთა შთაბოძავალი“ — ს ლათინურად ზედმიწევნით გადათარგმნა ვერ შესძლო და მეფედ აქცია. ან რა საბუ-

<sup>1</sup> მიმომხილველი, გვ. 64—65.

<sup>2</sup> რუფინუსისა და გელასი კვიზიკელის ნაშრომთა, როგორც ლიტერატურული წყაროების, დირებულების შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი. ანტონ გლასის მტკიცების მიუხედავად მეცნიერებაში რუფინუსის ნაწილობრივი ორიგინალობა მაინც უარყოფილი არ არის.

Otto Stälin-ი ანტონ გლასის შრომის რეცენზიაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გელასი კვიზიკელსა და გიორგი ამარტოლს სრულად არა აქვთ გადმოცემული გელასი კესარიელის ტექსტი. რუფინუსი კი თავისით ურთავს ზოგიერთ ამბავს. Stälin-ი წერს: „An anderen fallen kann man willkürliche Zusätze Rufins annehmen. Aber wenn im einzelnen auch manches unsicher bleibt so bietet die Annahme, dass Rufin das original sei“, მერე შენიშნავს, რომ გელასი კესარიელის ცნობას დასავლეთში ნაკლებად იცნობდნენ და თვით აღმოსავლეთშიც ძალიან მალე დაიკარგა იგი (იხ. Byzantin, Zeitschrift, XXIV, გვ. 119).

ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ რუფინუსის ორიგინალობა ძალზე მკვეთრად მოჩანს ბაკურის შესახებ ცნობების გადმოცემაში.

ამავე დროს გელასი კვიზიკელის შრომას Otto Seeck-ი ახასიათებს როგორც უბადრუკ ნაწარმოებს (... eine schriftstellerisch erbärmliche Leistung), რომლის ავტორიც მოკლებულია განსჯის უნარსა და გემოვნებას, რის გამოც გაუგებრად აქვს ერთი მეორეში არეული ცნობები ევსევსისა, რუფინუსისა და სხვათა შრომებიდან და ამის გამო ამით სარგებლობა გაძნელებულია და სახიფათო, თანაც სიყალბეს შეიცავს. (... seine Angabe... hielt man für Schwindel).

O. Seeck-ი გელასი კვიზიკელს უწოდებს: „ein so kritiklöset Schreiber“ (იხ. Pauly-Wissowa Real-Encyclopedie, — VII, გვ. 966).



თი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გელასი კესარიელის ისტორიის დედნის სიტყვები სწორედ მის კომპილატორს გელასი კვიზიკელს არა აქვს დამახინჯებული და სწორედ მას არა აქვს შეცვლილი ეს ცნობა<sup>1</sup>.

მით უმეტეს, რომ რუფინუსს არა მარტო ბერძნულიდან, არამედ ლათინურიდან ბერძნულადაც უთარგმნია წიგნები, რაც იმას მოწმობს, რომ მან ორივე ენა საფუძვლიანად იცოდა. იერონიმე სწერს რუფინუსს: „...tu etiam Latinos libros ad Graecum vertis“<sup>2</sup>.

მაგრამ რუფინუსისათვის უპირატესობის მიცემის უფრო მტკიცე დასაბუთების წარმოდგენა შეიძლება.

როგორც წყაროებიდან ვხედავთ, რუფინუსს ბაკურის შესახებ სხვა ავტორებთან შედარებით უფრო ვრცელი ცნობები მოეპოვება. ეს გასაგებიცაა, რადგან რუფინუსსა და ბაკურს ერთი მეორე სცნობიან და ურთიერთობაც ჰქონიათ, როგორც ამას თვით რუფინუსი გვამცნებს.

როდესაც რუფინუსი იერუსალიმში ცხოვრობდა, მაშინ ბაკური იქ იყო როგორც Palaestini limitis Dux. აღსანიშნავია, რომ ამ მომენტს მკვლევარნი უყურადღებოდ სტოვებდნენ. შეიძლება კაცმა ზემოხსენებული სიტყვები რუფინუსისად კი არა, არამედ გელასი კესარიელისად მიიჩნიოს, მაგრამ ამ საკითხს განხილვა მაინც ესაჭიროება. რასაკვირველია, ბაკურს შეიძლებოდა სცნობოდა კესარიელი მოღვაწე და მასთან უშუალო ურთიერთობაც ჰქონოდა, მაგრამ რა შეუშლიდა მას ხელს ასეთივე ურთიერთობა ჰქონოდა უფრო ახლოს მყოფ იერუსალიმელ მოღვაწე რუფინუსთან? პირიქით, ეს უკანასკნელი უფრო ბუნებრივი და ადვილად სავარაუდევია, რადგან სასულიერო სამწყსოს მეთაურსა და მხედრობის უფროსს შორის არა თუ ნაცნობობის, არამედ მჭიდრო ურთიერთობის გამორიცხვაც კი შეცდომა იქნებოდა. ჯვრისა და მახვილის კავშირი ხომ ახალი გამოქედნილი იყო და ყოველდღიურად მტკიცდებოდა! მით უმეტეს, რომ ტექსტში გარკვევით არის აღნიშნული, რომ ბაკურს ქართლის მოქცევის ამბავი უამბნია მაშინ, როდესაც ის პალესტინაში იყო. ჯარის სარდლად.

მაგრამ რომ აქ ლაპარაკი უნდა იყოს სწორედ რუფინუსისა და ბაკურის ურთიერთობაზე, ამტკიცებს ის ვარაუდიც, რომ მათი მეგობრობა აღმოცენებულა უნდა ყოფილიყო მათს მსოფლმხედველობითს ნათესაობაზე. როგორც ცნობილია, რუფინუსს მწვალე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I. გვ. 206.

<sup>2</sup> Patrologiae, t. XXI, გვ. 258.



ბლობა შესწამეს და პასუხისგებაშიაც მისცეს, ხოლო ბაკურის ფილოსოფიურ მრწამსზე საგანგებოდ საუბარია საქირო<sup>1</sup>. ზემოაღნიშნულ ცნობაში რუფინუსი პირდაპირ ამბობს, რომ მასა და ბაკურს შორის საკმაოდ ერთსულოვანი (თანაზრობრივი) დამოკიდებულება არსებობდა (cum nobiscum... satis unanimiter degeret)<sup>2</sup>. ასეთ პირობებში შეუძლებელია რუფინუსს არა სცოდნოდა—ბაკური ოდესმე მეფე იყო თუ არა. ძნელი საფიქრებელია, რომ რუფინუსს თვითნებურად შიუკუთვნებინოს ბაკურისთვის მეფის ტიტული. ხოლო თუ რუფინუსის ტექსტის ეს ადგილი ორიგინალური კი არ არის, არამედ გელასი კესარიელის თარგმანს წარმოადგენს, მაშინ ბაკურის მეფობის შესახებ არსებულ იქვს საფუძველი ეცლება.

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. ბაკურის შესახებ სხვადასხვა ცნობებში მოიპოვება მითითება მის ადამიანურს სულიერსა და ხორციელ თვისებებზე. ასეთი ცნობა დაცული აქვთ რუფინუსს, გიორგი ამარტოლს და მასვე ვხედავთ ლიბანიოსის კერძო წერილში არისტენეტესადმი. საყურადღებოა, რომ ამგვარი ცნობა გელასი კვიზიკელის წყაროში არ მოიპოვება. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, მოიპოვებოდა თუ არა მსგავსი რამ თვით გელასი კესარიელის შრომაში.

საკითხავია: რომელია ამათში პირველი წყარო და რომლის საფუძველზე უნდა იყოს ბაკურის ეს დახასიათება შეტანილი ლიტერატურულ წყაროში?

დავიწყეთ ლიბანიოსით. ლიბანიოსი თავის წერილში არისტენეტესა სწერს: „მოგვივიდა კარგი წერილი კარგი (კაცისაგან) და

1 ბაკურის მსოფლმხედველობა წარმოდგენილი იქნება ბაკურის პრობლემის სხვა ასპექტში განხილვის დროს.

2 რომ ბაკურის ნაცნობობა რუფინუსს უნდა გულისხმობდეს, იქიდანაც ჩანს, რომ გელასი კვიზიკელთან შენახულ გელასი კესარიელის ცნობაში ადგილი მითითებული არ არის, მაშინ როდესაც რუფინუსი იერუსალიმს ასახელებს.

კიდევ შეიძლება ერთი დეტალიც იყოს ამის მაჩვენებელი. რუფინუსი ბაკურზე ამბობს, რომ იგი იყო: apud nos Domesticorum Comes. თუ apud nos ადგილის გარემოების აღმნიშვნელია, მაშინ გამოდის, რომ ერთსა და იმავე ტექსტში რუფინუსი ორჯერ მიუთითებს ადგილის გარემოებაზე, ხოლო გელასი კვიზიკელთან არც ერთხელ არ არის ადგილი მითითებული; ეს ორივე გარემოება უმნიშვნელო არ უნდა იყოს, მაგრამ apud nos პირდაპირი მნიშვნელობით უნდა ნიშნავდეს: ჩვენთან, ჩვენში. ეს სიტყვები უნდა ამჟღავნებდეს მწერლის შთამომავლობას—რომამელობას. გელასი კვიზიკელის შრომაში შენახულ გელასი კესარიელის შესავფრთხილებულ ტექსტში ბაკურზე ნათქვამია: „...σαράπηϛ Παύλας ἁγαπαῖς. ეს გამოთქმა უცხო კაცს ამჟღავნებს. თუ ამ ცნობებს ურთიერთ დამოკიდებულების თვალსაზრისით განვიხილავთ, აშკარად დაგვრწმუნდებით, რომ რუფინუსია ორიგინალი.



კარგი ხელით; შენგან, რომელიც კარგი ხარ და ბაკურის ხელისაგან, რომელიც სხეულითაც ბრწყინავს და სულიც მას ასეთივე აქვს<sup>1</sup>.-ო. მერე მადლობას უხდის ასეთი კაცის გამოგზავნის გამო და ისევ ბაკურზე განაგრძობს: „პირზე მაკოცა, თითოეული ნაკვთი ცალკალკე, მომიჯდა გვერდით და მთხოვა ნება მიმეცა ეცქირა ჩემთვის დიდხანს“<sup>2</sup>.

ლიბანიოსის წყარო თვით ბაკურია და სხვა რამ ლიტერატურული წყაროდან არ შეიძლება მომდინარეობდეს. მაგრამ თვით ლიბანიოსის წერილი ვის შეიძლებაოდა წყაროდ გამოსდგომოდა? გელასი კესარიელი 395 წ. გარდაიცვალა და საეჭვოა, რომ ლიბანიოსის 392 წელს დაწერილი კერძო წერილი მისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ასეთ მოკლე ხანში—ისიც დასავლეთიდან აღმოსავლეთში. და ხომ არც ვიცით—ბაკურზე ასეთი ცნობა გელ. კესარიელის შრომაში იყო თუ არა.

გიორგი ამარტოლის ცნობის საფუძველი, რასაკვირველია, ლიტერატურული წყაროა. როგორ დგას საკითხი რუფინუსის მიმართ?

რუფინუსი ბაკურზე ამ შემთხვევაშიც ვრცელ ცნობას გადმოგვცემს: „Bacurius, vir fide, pietate, virtutis et animi et corporis insignis“<sup>3</sup>. რუფინუსის ამ ცნობის წყაროც უშუალოდ თვით ბაკური უნდა იყოს და ეს დახასიათება ნატურიდან უნდა იყოს აღებული მსგავსად ლიბანიოსის ცნობისა. ლიბანიოსის წერილი კიდევაც რომ ცნობილი ყოფილიყო რუფინუსისათვის, მაშინაც რუფინუსის ცნობას თავისი სიუხვით მაინც ორიგინალის ხასიათი აქვს. ამიტაც მტკიცდება რუფინუსის და ბაკურის ნაცნობობა და რუფინუსის ცნობის უშუალობა. ამ შემთხვევასაც ჩვენ რუფინუსისკენ მივყვართ როგორც პირველწყაროსაკენ<sup>4</sup>.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებული ცნობების კრიტიკულად განხილვის ნიადაგზე, ყველა უპირატესობა, მათ შორის სინამდვილისა და უშუალობის თვალსაზრისით, რუფინუსის ცნობას უნდა მიენიჭოს და ბაკურის შეფობის საკითხიც დადებითად უნდა გადაწყდეს.

ყველა ზემოთ განხილულის საფუძველზე შეიძლება ის კითხვაც წამოიჭრას: ვისი ინფორმატორია ბაკური—გელასი კესარიელისა თუ რუფინუსისა?

<sup>1</sup> პრ.გ. ს. ყაუხჩიი შვილი, ბანიოსი და ბაკური. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. I (1940) გვ. 15.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იგივე სიტყვა-სიტყვით განმეორებული აქვს გიორგი ამარტოლსაც და ამ შემთხვევაშიც აშკარა ხდება რუფინუსისაგან მისი დამოკიდებულება.

<sup>4</sup> ეს გარემოებაც იმაზე მიუთითებს, რომ გ. ამარტოლის ტექსტი რუფინუსისაგან მომდინარეობს.

როგორც დავინახეთ, რუფინუსი ბაკურის შესახებ შედარებით ვრცელ ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებს გვაწვდის არა მხოლოდ ქართლის მოქცევის ამბავთან დაკავშირებით, არამედ ფრიგიდუსთან ბრძოლის ეპიზოდის გადმოცემის დროსაც, რაც უეჭველია შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ამასთანავე ჩვენ დავინახეთ, რომ რუფინუსსა და ბაკურს შორის მჭიდრო ურთიერთობა უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჩვენთვის სადავო ხდება საკითხი, გელასი კესარიელს უშუალოდ ჰქონდა ბაკურისაგან მოსმენილი ქართლის მოქცევის ამბავი თუ ეს ცნობა მან მიიღო რუფინუსის საშუალებით. საფიქრებელია, რომ უკანასკნელი ვარაუდი სინამდვილესთან უფრო ახლოს იყოს, შეფარდებით იმ ვითარებასთან, როგორც ზემოთ წარმოვადგინეთ და ამით ქართლის მოქცევის შესახებ ძველს მწერლობაში შემონახული ცნობის პირველწყაროს სათავეც მიგნებული აღმოჩნდება.

### დასკვნები

1. მეცნიერებისათვის დღემდე ცნობილ საისტორიო წყაროებში (რუფინუსი, გელასი კვიზიკელი, გიორგი ამარტოლი, ამიანე მარცელინი) ბაკურის ვინაობა სხვადასხვანაირად არის გადმოცემული, ისე რომ ცნობები ერთი მეორეს არ ადასტურებენ.

2. ბაკურის შესახებ წყაროთა ურთიერთ დაპირისპირებისა და შედარებითი შესწავლის ნიადაგზე შესაძლებელი ხდება დადგენა იმისი, რომ ამ წყაროთაგან შინაარსის სიუხვისა და სისწორის მხრივ, აგრეთვე ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც უპირატესობა უნდა მიეცეს რუფინუსის წყაროს ან როგორც ორიგინალს ან როგორც ყველა მათთვის ნაგულისხმევ საერთო პირველწყაროს, უფრო სისრულითა და სისწორით გადმომცემს.

3. გიორგი ამარტოლის ცნობა ბაკურზე ფრიგიდუსის ბრძოლასთან დაკავშირებით შეიძლება მომდინარეობდეს არა გელასი კესარიელისგან, არამედ რუფინუსისგან; ყოველ შემთხვევაში მკვეთრად განსხვავდება გელასი კვიზიკელის (როგორც ფიქრობენ გელასი კესარიელისგან მომდინარე) ცნობისაგან, ხოლო სიტყვა-სიტყვით ემთხვევა რუფინუსის ტექსტს.

4. გიორგი ამარტოლის მიერ ბაკურის მიმართ ნახმარი *ἀνὴρ* არ აღნიშნავს ბაკურის საზოგადოებრივსა თუ სოციალურ მდგომარეობას, არამედ იგი მომდინარეობს გელასი კვიზიკელისა და რუ-

ფინუსის წყაროთაგან, და შეესატყვისება მათი ტექსტების ძვრ-სა და vir-ს, რაც მათ ნახმარი აქვთ ბაკურის მიმართ იმ წინადადებ-ბაში, სადაც ბაკურის მეფობა (რუფინუსი) თუ მეფური შთამომავ-ლობა (გ. კვიციელი) აქვთ აღნიშნული. ამ ტერმინებს ისინი ხმარო-ბენ მხოლოდ მათი ჩვეულებრივი შინაარსით: კაცი, ადამიანი. ამი-ტომ გიორგი ამარტოლის ძვრ მხოლოდ ამასვე აღნიშნავს და მი-სი სხვანაირი ინტერპრეტირება უმართებულოა.

5. რუფინუსი ბაკურის თანამედროვეა, — მას კარგად იცნობს მასთან ერთსულოვანი, თანააზრობრივი ურთიერთობა აქვს, ამიტომ ბაკურის ვინაობა და მისი თავგადასავალი რუფინუსისათვის კარგად ცნობილი იყო, რითაც აიხსნება მის ტექსტებში სხვა წყაროებთან შედარებით ბაკურზე ცნობების სიუხვე.

6. ბერძნულ-ლათინური წყაროების კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გამოიტანება დასკვნა, რომლის მიხედვითაც ქართლის მოქცევის ამბის მომთხრობი ბაკური იბერიის მეფეა.

მვ. არჯვანიძე

იოსებ წილოსნის (ალი-აგედი-ეფენდის)  
საბიოგრაფიო მასალა





წინამდებარე შრომა—იოსებ ლაზარის-ძის წილოსნის ბიოგრაფია—ეხება იმ ხანას საქართველოში, როდესაც მისი მტრების—ოსმალების ველური ხელი კიდევ პარპაშებდა შავი ზღვის სანაპიროზე და განაგრძობდა ქართველი ხალხის შეწუხება-შევიწროებას, ცდილობდა რა მის განადგურებას.

დღემდე ძალიან ნაკლებად მოიპოვება ცნობები იმ ქართველ ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც ათასობით ვატაცებულ-გაყიდული იყვნენ უცხოეთში, უმთავრესად ოსმალეთსა და ეგვიპტეში, მით უფრო არ მოგვეპოვება ცნობები მათი თავგადასავალის შესახებ უცხოეთის მონობაში.

ჩვენ მიერ გამოგლინებულია და აღწერილი ფაქტი: საქართველოდან 1812 წელს ოსმალთა აგენტებმა გაიტაცეს და ეგვიპტეში მონებად გაყიდეს ორი ქართველი ბავშვი, რომელთაგან ერთმა—იოსებ წილოსანმა—დაფაქჯაცებისას მოახერხა სამშობლოში გამოქცევა, ხოლო მეორე უცხოეთში დარჩა. ეს ფაქტი რალაც უიშვიათეს და უბედნიერეს გამონაკლისს წარმოადგენს მონათვაქრობის საერთო ფონზე და ამიტომ იგი ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული.

ი. წილოსნის ვინაობის შესწავლა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომ, რომ საქართველოში დაბრუნებისას მან თავისი ცოდნა და განათლება მშობლიურ ქვეყანას მოახმარა და კულტურულ ასპარეზზე 1837—1870 წლებში ერთგვარი კვალი დასტოვა<sup>1</sup>.

შრომას დართული აქვს ზოგიერთი მნიშვნელოვანი მასალა, ფოტორეპროდუქცია და საბუთი ჩვენი ახსნა-განმარტებით.

ვალად ვრაცხთ მადლობა მოვახსენოთ ზოგიერთი მასალის და ცნობის მოწოდებისათვის—ეფემია ნიკოლ. ასულს წილოსან-ერისთავისას, იასონ ლორთქიფანიძეს, იოსებ გრიშაშვილს და ვლ. წილოსანს, აგრეთვე დიდ მადლობას ვწირავთ აკად. ს. ჯანაშიას, რომელმაც ითავა ამ შრომის გამოცემა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ხაზით.

15/II.1946, თბილისი.

**ივ. არჯევანიძე**

<sup>1</sup> იოსებ წილოსნის შესახებ ჩვენ მოხსენებები გაავრცეთ: საქ. სსრ მეცნ. აკად. სახელმწიფო მუზეუმის პირველ სამეცნიერო სესიაზე 1942 წლის 30 მაისს [იხ. საქ. სსრ მეცნ. აკად. საქ. სახ. მუზ. პირველი სამეცნიერო სესიის (27—30 მაისი, 1942 წ.) სხდომების განრიგი და მოხსენებათა თეზისები. თბილისი 1942 წ. გვ. 27. ივ. არჯევანიძე—უცნობი ქართველი ორიენტალისტი იოსებ წილოსანი (მასალები ბიოგრაფიისათვის)]. და თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრის სხდომაზე 1946 წლის 6 იანვარს.

## I

1812 წელს გურიის სამთავროს სოფელ ლანჩხუთში ერთს ადგილობრივს მოსახლის ლაზარე წილოსნის ოჯახს თავს დაესხნენ თანამემამულე-ავაზაკები<sup>1</sup>, აუწიოკეს ოჯახი და ამ არეულობის დროს გაიტაცეს 8 წლის ვაჟიშვილი სახელად იოსები (ი. წილოსანი დაიბადა, როგორც თვითონ აღნიშნავს, 1804 წელს—იხ. დან. №№ 6, 7).

მოტაცებული ბავშვის მშობლებმა ვერასგზით ვერ აღმოაჩინეს მისი გზა და კვალი. ან რას მიაგნებდნენ, როცა მოტაცებულ იოსებს ფოთში ამოაყოფინეს თავი და იქ მიაბარეს ფოთის ციხის უფროსს ვინმე ალი-ბეგს<sup>2</sup>.

ფოთის ციხის უფროსთან შეთანხმებით იოსებ წილოსანი და მისივე ტოლი ბიჭი, სამეგრელოდან მოტაცებული, ავაზაკებმა მიჰყიდეს ხოფის მცხოვრებს, სახელად ჰასან-ალა-მსერ-ოღლის<sup>3</sup>. იგი იმ დროს ფოთში იყო ჩასული სტამბოლიდან საგანგებო დავალებით ოსმალეთის ხონთქრისა და ეგვიპტის ფაშისათვის ქართველი გოგობიკების შესაგროვებლად და წასაყვანად.

შემზარავი სურათი იყო საქართველოს სჩვადასხვა კუთხიდან მოტაცებული, ძალად დაობლებული ბავშვების ტანჯვა-ვაება მტარვალთა ხელში. მრავალი ბავშვი ხომალდზე იტვირთებოდა და სამუდამოდ შორდებოდა თავის სამშობლო მიწა-წყალს.

იმ შავბნელ დროში ეს იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა.

## II

XV საუკუნიდან დაწყებული XIX საუკ. თითქმის შუა ხანამდე აღმოსავლეთის ქვეყნებში (ოსმალეთსა და ერანში) მრავალი ქართველი გადაასახლეს. ნაწილი ტყვედ (მონად) გაჰყიდეს ფეოდალებმა, ხოლო ნაწილი ტაციობით იქნა გაყვანილი.

ასეთმა უმსგავსოებამ საქართველოში, კერძოდ დასავლეთ სა-

<sup>1,2</sup> იოსებ წილოსანს ასეთი ცნობა (ა Tiflis au 27 Jui 1839) მოუპოვება: „Небезизвестно начальству, что я, происходя из Азиатских уроженцев Гурийского владения, был похищен некоторыми соотечественниками своими в 1812 г... и привезен в Турецкую крепость Поти, где я с некоторыми единоплеменниками был продан ими по соглашению с начальником крепости Алибегом. (არზა შედგენილი ი. წილოსნის მიერ ეგვიპტის მთავრობის სახელზე, მისივე თარგმნილი ოსმალურებიდან).

<sup>3</sup> ჰასან-ალა-მსერ-ოღლი—ხოფის მცხოვრები; იმ პერიოდში დახვლენებული მონათვაქარი იყო.

ქართველოში, განსაკუთრებით კი გურიასა და სამეგრელოში, ირინოთაღი მას შემდეგ, რაც საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცდა და ერთ მთლიან ფეოდალურ სახელმწიფოდან, რომელსაც იგი XI საუკუნიდან XV საუკუნემდე წარმოადგენდა, დაიყო სამეფოებად და სამთავროებად.

ჯერ კიდევ მონღოლთა შემოსევამ (XIII ს.) და მათმა თარეშმა საქართველოში დასცა ქვეყნის როგორც საზოგადოებრივ-კულტურული, ისე ეკონომიური მდგომარეობა. მათ მიერ შემოღებულმა ზარკმა მთლად გამოუთხარა ძირი საქართველოს ეკონომიკას და დიდად გააღარიბა ხალხი. ამას ის გარემოებაც დაემატა, რომ „უძველესი სავაჭრო გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა წინაკავკასიის, ერანის და მცირე აზიის კულტურულ ქვეყნებთან, გზა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის განვითარებისათვის, უკვე XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის (და შემდეგ საუკუნეებშიც) მიუყრდა, ხოლო კავკასიის მთიან ნაწილში მთლად გაუვალი გახდა მშვიდობიან მოგზაურებისათვის, მით უფრო სოვდაგრებისათვის: აქ გახშირდა ყაჩაღობა და ავაზაკური თავდასხმები“<sup>1</sup>.

ეს იყო შედეგი ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობისა (1453 წ.) და მათი საბოლოო გაბატონებისა შავ ზღვაზე XVI საუკ.<sup>2</sup> ამრიგად შავი ზღვის პირას მდებარე საქართველოს სამთავროები (გურია, სამეგრელო ანუ ოდიში, აფხაზეთი) მოსწყდნენ დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობას და მოექცნენ ამ დროისათვის შავ ზღვაზე გაბატონებულ, კულტურულად ჩამორჩენილ ოსმალეთის გავლენის ქვეშ. ასეთ ვითარებას ართულებდა ქართველ მეფე-მთავრებს შორის დაუსრულებელი შფოთი და უთანხმოებანი. საქართველო გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, ხალხი გაღარიბდა. ფეოდალების გაბატონებულმა კლასმა პირადი შემოსავლის გადიდებისა და ხარჯების გასტუმრებისათვის მიმართა კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით ერთს უსასიზღოვრეს საშუალებას—ტყვეთა (მონათა) ვაჭრობას; ტყვეებს იგი ჰყიდდა არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც, მით უფრო, რომ ოსმალეთი და

<sup>1</sup> Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.). Тбилиси, 1938 г. стр. 23.

<sup>2</sup> XVI საუკუნიდან შავი ზღვა გადაიქცა ოსმანთა იმპერიის შინაზღვად და შავი ზღვის პირად მდებარე ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა მონოპოლიზებული იქნა ოსმალების მიერ (ციტ. შრომა, გვ. 25).



ერანი საქართველოს ტყვეების (მონების) ინტენსიური მომხმარებელნი ვახდნენ.

„ეს სენი ერთობ მთელს საქართველოში, —წერს მიხეილ თამარაშვილი<sup>1</sup>,—იყო გავრცელებული, მაგრამ სამეგრელოში უფრო მძვინვარებდა, რადგან იქ ზღვა ძალიან უწყობდა ხელს ამ უსინდისო ვაჭრობას“. ტყვეთა ვაჭრობის განვითარებამ ხელი შეუწყო ადამიანთა ტაციობას. იტაცებდნენ უმთავრესად გოგო-ბიჭებს, ახალგაზრდობას და თურქებზე ჰყიდდნენ ან საქონელზე ცვლიდნენ.

ტყვის მოტაცება და ტყვით (მონათ) ვაჭრობა სახიფათო მდგომარეობას უქმნიდა საზოგადოებრივ განვითარებას და განსაცდელის წინაშე აყენებდა ქართველი ერის არა თუ მომრავლების, არამედ არსებობის საკითხსაც.

ხელისუფლება უძლური იყო ბოლო მოელო ასეთ უმსგავსოებისათვის. მართალია, ამ საკითხმა XVI საუკ. ჰპოვა სათანადო გამოხმაურება ბაგრატ III თაოსნობით მოწვეულ საეკლესიო ყრილობაზე, რომელმაც მკაცრი გადაწყვეტილება გამოიტანა ტყვეთა ვაჭრების მიმართ (სიკვდილით დასჯა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ვითარდებოდა<sup>2</sup>.

უცხოელ მოგზაურებისა და კათოლიკეთა მისიონერების ცნობით (არქ. ლამბერტი<sup>3</sup>, პატრი იოსებ ჯულიჩი, შარდენი და სხვა) გურია-სამეგრელოდან გატაცებულ ტყვეთა (მონათა) რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევდა<sup>4</sup>. გატაცებულებს ან შესყიდულ ქართველებს უმთავრესად ყულის ჯარში აწესებდნენ ან იყენებდნენ ჩაღანდრებად, მსახურებად დიდებულთა ოჯახებში, სავაჭრო და სამხედრო გემებზე, საქურისებად, ხოლო ქალებს—ხონთქრისა, შაჰის და თაშების ჰარამხანებში.

<sup>1</sup> მიხეილ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902 წ. გვ. 176.

<sup>2</sup> Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений, стр. 25.

<sup>3</sup> ა. ლამბერტის თქმით, მეგრელები დიდის სიამოვნებით ჰყიდნენ ტყვეებს, რადგან ერთ ტყვეში იღებენ ყველა საქონელს, რაც სახლში ესაჭიროებათ. ქალების სასყიდლად თურქებს ფულს ართმევენ, ოღონდ ქალი ლამაზი იყოს. მეგრელი ქალები ხომ უმეტეს ნაწილად იშვიათი სილამაზისაა (არქ. ლამბერტი—სამეგრელოს აღწერა. თარგმნ. იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი 1938 წელ. გვ. 158—161).

<sup>4</sup> შარდენის ცნობით, სამეგრელოდან ყოველწლიურად გაჰყავდათ 12000 ტყვე, ყველა ესენი ხელში უვარდებოდათ ოსმალებსა და ირანელებს, 3000 კაცი მიყავდათ სტამბოლში, სადაც მათ ცვლიდნენ ქსოვილზე, იარაღსა და სხვა საქონელზე, რომელიც შემდეგ შემოაქვთ სამეგრელოშიო (Путешествие кавалера Шардена по Закавказью в 1672 г., Перевод Д. П. Носович. стр. 35—36.)

ასეთმა მდგომარეობამ გასტანა XVIII საუკუნის განმავლობაში და თითქმის XIX საუკუნის ორმოციან წლებამდე.

დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ-კი გურია-სამეგრელოდან მოტაცებული ან შესყიდული ტყვეები უმთავრესად ვაჭყადათ ნავსადგურ ფოთიდან, რომელიც შავი ზღვის ნაპირის იმდროინდელ ოსმალეთის ციხეს და მიმღებ ნავსადგურს წარმოადგენდა კავკასიისა და კერძოდ დასავლეთ საქართველოსთან ალემ-მიციემობის საკითხში.

რუსეთთან საქართველოს, განსაკუთრებით კი იმერეთისა და სამეგრელოს, შეერთების შემდეგ რუსეთის მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია ფოთს, როგორც მთავარ სავაჭრო ძარღვს და მისი შემოერთება ან შექმნა მაშინვე გადასწყვიტა. „სამეგრელოსა და იმერეთის რუსეთთან შეერთებით-კი,—წერს ნ. დუბროვინი, საჭირო გახდა შექმნა მდინარე რიონის შესართავთან მდებარე ნავსადგომის ფოთისა, აგრეთვე სხვების, როგორცაა, მაგალითად: ბათუმი გურიაში და ანაკლია თავიდანვე სამეგრელოს მთავრის კუთვნილება. ამ ნავსადგომების გარეშე შეუძლებელი იყო ახლად შემოერთებულ ქვეყნებში ვაჭრობის განვითარება, ან იმერეთისა და სამეგრელოს ბუნებრივი სიმდიდრეებით სარგებლობა. ამ ნავსადგურების დატოვება სხვისა ხელში მავნე იყო კიდევ იმის გამოც, რომ მათში თავს იყრიდნენ უმთავრესად ქრისტიანი ტყვეებით მოვაჭრენი, რომელი ვაჭრობაც ანადგურებდა ამ მხარეს (ქვეყანას) და ამდიდრებდა ეგვიპტეს. ცნობილია, მაგალითად, რომ ყველა მამელუკი საქართველოდან იყო გაყვანილი“<sup>1</sup> (ხაზი ჩვენია.)

საქართველოს მთავარმართველმა გენერალმა ციციანოვმა 1804 წელს გადასწყვიტა მონით ვაჭრების დასჯა და ბრძანებაც გამოსცა მათი ციხიბრში გადასახლების შესახებ საკატორღო სამუშაოებზე. ამ ღონისძიებას დადებითად შეჰხვედრია იმერეთის მეფე სოლომონი<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ ფოთით, როგორც ციხით და ნავსადგურით, სარგებლობდა უმთავრესად მისი გარნიზონის უფროსი, ოსმალების ალა, რომელსაც ჰყავდა მცველი ჯარი, შემდგარი მაწანწა-

<sup>1</sup> Н. Дубровин. Закавказье от 1803—1806 г. г. СПб., 1866, стр. 277.

<sup>2</sup> იქვე, იხ. ციციანოვის მიმართვა ლიტვინოვისადმი 12 ნოემბერს 1804 წ.



ლებისა, ყაზალებისა და ავაზაკებისაგან. ესენი განთქმული იყვნენ მთელ ამ მიდამოებში თავიანთი რეგენობით, თავხედობით და ველურობით; ისინი ავიწროებდნენ, აწუხებდნენ და ძარცვავდნენ ქართველ ხალხს და უკანასკნელ ლუკმა პურსაც სტაცებდნენ მათ პირიდან“-ო<sup>1</sup>.

ოსმალების ასეთმა თარეშმა შავ ზღვაზე და კერძოდ ბათუმის, ფოთის და სხვა ნავსადგურებში დიდხანს გასტანა, სანამ ეს ადგილები საბოლოოდ რუსეთს არ გადმოეცა.

### III

მაგრამ მივუბრუნდეთ 1812 წელს გატაცებულ პატარა წილოსანს, ჩვენი ინტერესის ობიექტს.

პატარა იოსები და მისი ტოლი და თანამემამულე, სამეგრელოდან მოტაცებული ბავშვი, სახელად სელიმი<sup>2</sup>, დანარჩენ ბავშვებთან ერთად, ასვეს ხომალდზე და გაუყენეს შორს გზას.

როგორი მგზავრობა შეხვდათ ზღვაში, რა გადახდათ ბავშვებს გზაზე, საიძისო ცნობა არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ სტამბოლში მისვლისას დიდი ნაწილი ბავშვებისა ჩამოსვეს ნაპირზე, ხოლო იოსები და სელიმი დატოვეს ხომალდზე და მალე ეგვიპტისაკენ წაიყვანეს.

ეგვიპტეში მისვლისათანავე ჰასან-მსერ-ოღლიმ იოსები და სელიმი ქ. კაიროში წაიყვანა და, პირობის თანახმად, მიჰყიდა ეგვიპტის ფაშის, აჯი-მეჰმედ-ალის, ერთ-ერთ დიდ მოხელეს, მირახორ-მაჰომედ-ალას (კაპიჯი ბაშიებიდან).

მირახორ-მაჰომედ-ალა ეგვიპტის ფაშის სასახლეში მიღებული კაცი იყო, განთქმული თავისი სიმდიდრით მთელს კაიროში. მას მრავალი უძრავ-მოძრავი ქონება მოეპოვებოდა ქალაქსა და სოფლებში. ასე რომ განძეულობისა (ოქრო-ვერცხლის) და თვალმარგალიტის მოსავლელად მას ჰყავდა დაქირავებული მოხელე და ხაზინადარიც კი, რომელსაც ის მთელს ქონებას ანდობდა. მისი იყო: მნიშვნელოვან გზის პირას გაშენებული ქარვასლები, სადაც დიდი აღებ-

<sup>1</sup> Н. Дубровин. Закавказье от 1803—1806 г. г, стр. 279.

<sup>2</sup> ეს სახელი მას უცხოეთში დაერქვა, ხოლო მისი მშობლიური სახელი და გვარი უცნობია.

მიცემა წარმოებდა, რამდენიმე ადგილას აგებული და გაქირავებული სადგომები, ხოლო თვით ქალაქ კაიროში შემოსავლიანი სახლები. ამ ქონების გარდა მირახორ-ალას კაიროს მახლობლად სოფელ მონიაში, შუბრასა და ბირჯათილ-აჯიაში მშვენივრად მოვლილი და მოშენებული ვენახ-ბაღები კარგ შემოსავალს აძლევდნენ<sup>1</sup>.

მირახორ-მაჰომედ-ალა ხანში შესული კაცი იყო. მემკვიდრეები, გარდა ერთი ქალიშვილისა, სახელად სეით-ზეინაბისა, მას არ ჰყავდა. ბავშვებს ბედმა გაუღიმა: მირახორ-ალა გულჭეთილი ადამიანი აღმოჩნდა: ახლად შესყიდული მცირეწლოვანი ყმები იოსები და სელიმი მან ერთმანეთს არ დააშორა და თავის სახლში დატოვა.

ეს ის პერიოდი იყო ეგვიპტეში, როდესაც ალბანეთის კორპუსის სარდალმა მეჰმედ (მაჰომედ) ალიმ ხელთ იგდო ეგვიპტის მართვა-გამგეობა და სულთანის თანხმობით მიიღო ეგვიპტის ჩაცელობა, მოსპო მამულეები (1811 წ.), ვერაგულად და დაუნდობლად დახოცა თავისი მოწინააღმდეგენი, კონსერვატულად განწყობილი 500 ბეი<sup>2</sup> და შეუდგა თვალსაჩინო რეფორმების გატარებას ეგვიპტეში.

ჯერ კიდევ XVIII საუკ. ბოლოს ნაპოლეონ I-ის თაოსნობით ფრანგების სამხედრო ექსპედიციის შედეგად ეგვიპტეში გაძლიერდა კაპიტალისტური ურთიერთობა. მაშინ ფრანგულმა კაპიტალმა შესძლო ხელთ ეგდო მხოლოდ ეგვიპტის ვაჭრულ-მეფავშული ზედაფენა, ხოლო ფეოდალური ურთიერთობა ხელუხლებელი დარჩა. ამგვარად არსებულ ნატურალურ დაბეგვრას დაემატა კაპიტალისტური ექსპლოატაცია. კაპიტალისტური ზედაფენა ითვისებდა აგრეთვე ევროპულ ცივილიზაციას, რასაც შესამჩნევად შეუწყო ხელი ფრანგების ექსპედიციამ. ფრანგებმა ეგვიპტეში გახსნეს ინსტიტუტი, მოახდინეს სამართლისა და ადმინისტრაციული სისტემის რეორგანიზაცია,

<sup>1</sup> ცნობები მირახორ-მაჰომედ-ალას ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ამოღებულია ი. წილოსნის სხვადასხვა წერილებიდან და საგანმარტებო ბარათებიდან, რომელთაც იგი სწერდა კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩს 1838 — 1839 წლებში. (იხ. დანართი № 2).

<sup>2</sup> XIX საუკ. დასაწყისში ეგვიპტეში (კაიროში) კონსერვატულად განწყობილი საზოგადოების ნაწილი სასტიკად ებრძოდა ახალი რეფორმების გატარებას, რომელთა ინიციატორი და სულის ჩამდგმელი მაჰომედ-ალი ფაშა იყო. კონსერვატულად განწყობილმა ელემენტმა გადასწყვიტა კიდევ მაჰომედ-ალი ფაშას ჩამოგდება. პასუხად ამისა. მაჰომედ-ალიმ, რომელიც ამ ხანში უკვე განმტკიცდა ეგვიპტეში და თურქეთისგან ზურგმომავრებული შეიქნა, კონსერვატული პარტიის მეთაურებისა და ყველაზე აქტიური წევრების ფიზიკური მოსპობა გადასწყვიტა, რაც მან სწრაფად განახორციელა კიდევ. ამგვარად მოსპო მან თავისი პოლიტიკური მტრები.

შეუდგნენ საინჟინერო-ტექნიკურ საკვლევო ღონისძიებათა ჩატარებას, არქეოლოგიურ დაზვერვით სამუშაოებს, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას—ეგვიპტოლოგიას.

მეკმედ-ალი-ფაშამ (ანუ ჰაჯი-მაჰომედ-ალი-ფაშამ) განიზრახა ეგვიპტის გადაქცევა ძლიერ და ოსმაღეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რისთვისაც გადასწყვიტა ევროპელების გამოყენება და ევროპის კულტურის დანერგვა თავის ქვეყანაში. მან სულ მოკლე ხანში ჩაატარა ეგვიპტის ჯარის რეორგანიზაცია და შექმნა 160 ათასი კაცისაგან შემდგარი ევროპულად გაწვრთნილი ლაშქარი. შეუდგა ფინანსიური სისტემის გარდაქმნას და დიდი ტექნიკური სამუშაოების ჩატარებას (საარხო მშენებლობა, სამელიორაციო სისტემის მოწყობა), შემოიღო სოფლის მეურნეობის ახალი დარგები, კერძოდ ამერიკული წესით ბამბის მოშენება<sup>1</sup>; აღადგინა მევენახეობა-მელენეობა, დააარსა ევროპული ტიპის სკოლები, შეუდგა ახალგაზრდობის აღზრდას ევროპის სასწავლებლებში, სადაც ავლენდა სახელმწიფო ხარჯზე ახალგაზრდობას (1813—1830 წ. წ.).

სწორედ ამ პერიოდში მოხდნენ ეგვიპტეში საქართველოდან მოტაცებულნი იოსებ წილოსანი და სელიმი.

ბავშვებმა თავიანთი სანდომიანი გარეგნობით, ქცევით, ზრდილობით, თავაზიანობით მიიპყრეს მირახორ-ალას ყურადღება. გან-

<sup>1</sup> აჯი-მაჰომედ-ალი-ფაშა (1769—1849) საბოლოოდ განმტკიცდა ეგვიპტეში და ზონტორის ნაცვლობა მიიღო 1812 წელს. მისი მმართველობის დროს მრეწველობაზე მონოპოლია გამოცხადდა. 1813 წელს მისი წინადადებით გატარდა მიწის რეფორმა, რომლის მიხედვით თითოეულ ფელახს (გლეხს, მიწის მუშას) გადაეცა იჯარის წესით სამი-ოთხი ფედანი (მიწის ზომა—ჰექტარის 0,4 რაოდენობით) დასამუშავებლად. ძირითადი მიზანი რეფორმისა იყო ფეოდალური წესწყობილების განმკიცება. მიწის ფაქტიური მუშა ეკონომიურად დამოკიდებული გახდა თავის მბრძანებლისაგან (სახელმწიფოსაგან) და შრომობდა მისი ხაზინისათვის. სოფ. მეურნეობაში ახალი დარგები იყო შემოღებული, მაგ. ბამბის მოშენება. ბამბა მანამდე მხოლოდ ველურად იზრდებოდა. 1821 წლიდან მ. ალი-ფაშას ბრძნებით შეუდგნენ ამ სამრეწველო მნიშვნელობის მცენარის კულტურულ მოშენებას კაიროს მიდამოებში. ცდამ საუკეთესო ნაყოფი გამოიღო და ბამბისათვის მიწის ნაკვეთები გაფართოვდა. 1824—25 წ. წ. ეგვიპტიდან უკვე დაიწყო ბამბის ექსპორტი.

მევენახეობა-მელენეობა ეგვიპტეში ერთ დროს განთქმული იყო, მაგრამ არაბების ბატონობის შემდეგ სოფლის მეურნეობის ეს დარგი, ყურანის ძალით, აკრძალეს. მ. ალი-ფაშა შეეცადა იგი აღედგინა, მაგრამ ცდა მხოლოდ ნაწილობრივად განხორციელდა. ამ დარგმა არ მოიკიდა ფეხი, მისი ინიციატორის მოლოდინის წინააღმდეგ.



საკუთრებით კი იპყრობდა ყურადღებას იოსებ წილოსანი. პატარა ხანს შემდეგ მირახორ-ალამ გადასწყვიტა იოსების თავის სასიძოდ გამოცხადება. იოსები მან დანიშნა თავის პატარა ქალიშვილზე სეთი-ზეინაბზე და აღუთქვა მათ ცოლქმრობა, როდესაც სრულწლოვანებას მიაღწევდნენ.

ამ დღიდან დაიწყო ბავშვების ცხოვრებაში ახალი პერიოდი. მირახორ-ალა შეუდგა იოსების და მისი ტოლ-ამხანაგის სათანადოდ აღზრდას. ფეიქრობთ, რომ ამავე დროიდან ორივე ბავშვი მაჰმადიანობის სარწმუნეობაზე მოაქცია და სახელებიც შეუცვალა. იოსებ წილოსანს დაერქვა ალი-ამედი, მეგრულ ბავშვს კი—სელიმი<sup>1</sup>.

მათ მიუჩინეს მასწავლებლებად ვინმე ჰასან-ალანი-ეფენდი და (ანაკოც) თოფალ-საალიგ-ეფენდი, რომლებმაც დააწყებინეს სწავლა არაბული და თურქული ენებისა, მართლწერისა და ალყურანისა. შედარებით მოკლე დროის განმავლობაში (4—5 წელიწადში) ალი-ამიდიმ სწავლის და ათვისების დიდი უნარი გამოიჩინა. შეისწავლა ენები, მართლწერა და ალყურანი და დაირისახურა რა ხოთათის დიპლომაში, ეფენდის წოდება მიიღო.

<sup>1</sup> სელიმი ანუ ჰასან-სელიმი, ქართველი, მოტაცებული იყო ი. წილოსანთან ერთად 1812 წელს სამეგრელოდან. ფოთიდან კაირომდე ბავშვებმა ერთად იმგზავრეს და შემდეგშიც (ეგვიპტესა და ევროპაშიც) არ დაშორებიან ერთმანეთს. ი. წილოსანი ჰასან-სელიმის სადაურობას და ნამდვილ ვინაობას არსად არ იძლევა, ჩვენი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ მას უბერხულად მიაჩნია ამხანაგის გაცემა. მის შესახებ მოკლე ცნობას იძლევა ი. წილოსანი ერთ არხაში და თავის წერილში სელიმისადმი: „ამგვარად, გთხოვ ჩემო ძვირფასო მეგობარო, ამ წერილის მიღებისთანავე იმწამსვე მიპასუხო და მაცნობო ახალი ამბავი შენს შესახებ, რომ მომეცეს საშუალება გაცნობო შენი დედ-მამისა და მანლობლების ამბავი“-ო. აქედან ნათლად ჩანს, რომ წილოსანმა არა თუ მისი ვინაობა და სადაურობა იცოდა, არამედ დედ-მამის და მანლობლებსაც იცნობდა (იხ. დან. № 1,2).

შემდეგში სელიმი ეგვიპტეში დარჩა და წარსული საუკუნის 40 წლებში გენერალური შტაბის უფროსად იყო, რის შესახებ ცნობას თვით ი. წილოსანი იძლევა: Проданный же вместе со мною по прозвищу Селим-Эфенди находится ныне в Египте при Гавани Булаки в доме умершего Исмаил-Паши начальником генерального Штаба.

(ი. წილოსნის პატაკი რუსეთის მთავრობისადმი 1839 წ.)

მაგრამ მეორე ცნობით კი სელიმ-ეფენდი ეგვიპტის მთავარ დაწესებულებათა მიმოწერაში 1840 წელს იხსენიება, როგორც ადიუნქტი (ანუ მუავენი) უცხო ენების სკოლისა (იხ. დანართი № 9).



ამგვარად ალი-ამედი გახდა ალი-ამედი-ეფენდი, ხოლო მისმა ამხანაგმა სელიმმა ეფენდის წოდება უფრო მოგვიანებით დაიმსახურა და გახდა სელიმ-ეფენდი (ზოგან წილოსანი მას ჰასან-სელიმად იხსენიებს).

ეს, როგორც საბუთებიდან ჩანს, უნდა მომხდარიყო 1817—1818 წ-ში, რადგანაც სწორედ ამ წელს (1818 წ.) სწავლის დამთავრებისთანავე ალი-ამედი-ეფენდი მისმა სასიამომომ გაამწესა თავის ხაზინადრად. ამავე წელს მირახორ-ალან განსაკუთრებული სიგლით ალი-ამედი-ეფენდი და სელიმ-ეფენდი მონობიდან გაანთავისუფლა და ანდერძი კი დასწერა, რომლის ძალით მთელი უძრავ-მომძრავი ქონება მისი ქალიშვილის სეთი ზეინაბის სიკვდილის შემთხვევაში ალი-ამედი-ეფენდის და სელიმ-ეფენდის უნდა დარჩენოდათ სრულ საკუთრებად.

ეს წერილობითი ანდერძი მირახორ-მაჰომედ-ალამ მეჰქემეს (გამეგობას) დაადასტურებინა 1818—1823 წლებში<sup>1</sup>.

1821 წელს მეჰმედ-ალი-ფაშამ ალი-ამედი და სელიმ-ეფენდი მიიწვია თავის სასახლეში და წინადადება მისცა მათ სამხედრო განათლება მიეღოთ, რისთვისაც გაამწესა ისინი კასრი-აინეს სამხედრო სასწავლებელში<sup>2</sup>.

1823 წელს მათ ეს სასწავლებელი დაამთავრეს და მიიღეს ოფიცრის პირველი ჩინი. ამ დროიდან ალი-ამედი-ეფენდი და სელიმ-ეფენდი ეგვიპტის ლაშქრის კადრის ოფიცრები გახდნენ და მეჰმედ-ალი-ფაშას უშუალო განკარგულებაში გადავიდნენ. მაგრამ ვინაიდან ეგვიპტის ფაშამ შეატყო ორ ქართველს სწავლის დიდი უნარი და მისწრაფება, გადასწყვიტა მათთვის ევროპული განათლება მიეცა. ამ პერიოდში გაცხოველებული იყო ეგვიპტის სახელმწიფოებრივი მმართველ-გამეგობის, კერძოდ ეგვიპტის ლაშქრის გარდაქმნის საქმე და ამ საქმეში მას ახალგაზრდა, ევროპულად გაწვრთნილი ძალები ესაჭიროებოდა. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იმავე მეჰმედ-ალიმ ორივეს იტალიური ენის შესწავლა დააწყებინა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> წერილობითი ანდერძის ტექსტი (დედანი) „მეჰქემეს“ და უკანასკნელის დადგენილების დედანი, წილოსნის ცნობით, იწაბებოდა ეგვიპტის არქივში ქალ კაიროში და შესაძლებელია მოიძებნოს 1818—23 წ. წ. საქმეებში.

<sup>2</sup> წილოსნის სამს. სიაში 1873 წ. გრაფაში—Где воспитывался—შეტანილია შემდეგი: „Окончил курс наук в военной школе Касри-ине и выпущен с чином поручика“ (დანართი № 7).

<sup>3</sup> წილოსნის საბუთებში მოიპოვება ამის შესახებ შემდეგი ცნობა (თარგმ-

იტალიური ენის შესწავლისას 1825—26 წწ. ალი-ამედი და ჰასან-სელიმი, ფაშას ბრძანებით, წარიგზავნენ სახელმწიფო ხარჯზე ევროპის დიდ კულტურულ ცენტრში—პარიზში საერთო საშუალო და უმაღლესი განათლების მისაღებად<sup>1</sup>.

მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში მიბარებამდე ალი-ამედის და სელიმს უნდა მიეღოთ საერთო (სამხედრო) განათლება, რაც მათ არ ჰქონდათ მიღებული ეგვიპტეში. ამის გამო პარიზში ჩასვლისას ალი-ამედი და სელიმ-ეფენდი მიიბარეს საერთო ცოდნის ასამაღლებლად, აგრეთვე ფრანგული ენის, ლიტერატურის და სხვა საგნების შესასწავლად ბურბონთა კოლეგიურ სასწავლებელში და „ბუამო“-ს პანსიონში<sup>2</sup>. ამ სასწავლებელში მათ გაიარეს აგრეთვე აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია და ლიტერატურაც. რამდენიმე წლის შემდეგ მათ ეს სასწავლებელი წარმატებით დაამთავრეს და მოემზადნენ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად; ალი-ამედისთან და სელიმთან ერთად კოლეგიური სასწავლებელი დაამთავრეს ეგვიპტიდან მივლინებულმა სხვა ახალგაზრდებმაც, რაც ჩანს ეგვიპტის ფაშის ბრძანებიდან, რომელიც იქ წარგზავნილ ახალგაზრდობას მიუვიდა. მათ ევალეზობდათ შეექმნათ სამ-სამ, ოთხ-ოთხ კაცისაგან შემდგარო ჯგუფები და ამოერჩიათ სათანადო დარგები უმაღლესი განათლების მისაღებად<sup>3</sup>.

ნილია თურქულიდან წილოსნის მიერ): „в 1823 году вышереченный Магомет-Али-паша взял меня с товарищем моим Гасан-Селим-эфенди „от госпо-дина нашего и отдал для обучения итальянскому языку“.

<sup>1</sup> იხ. წილოსნის მოხსენებითი ბარათი 1839 წ. № 3 და მისი სამსახურის ნუსხა გვ. 1, 1873 წლის.

<sup>2</sup> წილოსნის ერთ ცნობაში მოხსენებულია შემდეგი—„ორი წლის შემდეგ მან (შეჭამედ-ალი-ფაშამ)—გაგვგზავნა სელიმ-ეფენდისთან ერთად პარიზში თანაბრად (равношерно) სხვადასხვა მეცნიერებათა შესასწავლად“-ო. მეორე ცნობაში კი აღნიშნულია: „აღვიზარდე ეგვიპტეში და დავამთავრე სამხედრო სწავლების კურსი—კასრიანეს სამხედრო სკოლაში და გამოშვებული ვიქნე პორუჩიკის ჩინით, შედგომად ამისა ვსწავლობდი სხვადასხვა მეცნიერებას პარიზში ბურბონთა კოლეგიურ სასწავლებელში და „ბუამო“-ს პანსიონში“.

<sup>3</sup> ი. წილოსანი ამ საკითხზე შემდეგ ცნობას იძლევა:

„Окончив там учение (ივლისხმება პარიზის კოლეგიური სასწავლებელი და ბუამოს პანსიონი) французского языка и преподаваемых наук, получили мы новое приказание от отославшего нас Магомет-Али Паши, чтобы три или четыре человека, сделавшись таваришами, образовали себя в других высших науках по охоте и желанию своему“.



ამ ბრძანების მიხედვით ყველამ შეარჩია ის დარგები, უნდაც რა მოსწონდა; ალი-ამედიმ გადასწყვიტა სამხატვრო დარგის შესწავლა და ამ მიმართულებით უმაღლესი სკოლის გავლა ისურვა, ვინაიდან, როგორც თვითონ აღნიშნავს, დიდი სურვილი ჰქონდა ფერწერის შესწავლისა, რადგან ყოველთვის ხელოვნებისაჰქნენ მიეღებოდა გული.

მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა შესაძლებლობა და მდგომარეობა. ის-ის იყო უკვე სამხატვრო დარგში სწავლა უნდა დაეწყო ალი-ამედის, რომ მაჰომედ-ალი ფაშასაგან საგანგებო და პირადი ბრძანება მოუვიდა—ყოველ მიზეზს გარეშე, საინჟინერო საქმე შეისწავლეო. „გამომდინარე აქედან ყველა ჩემი ამხანაგი, —წერს ი. წილოსანი, — შეუდგა სწავლა-განათლებას თავისი სურვილის მიხედვით, ხოლო მე, მიუხედავად იმისა, რომ სურვილი მქონდა შეესულიყავი სამხატვრო დარგის სასწავლებელში, ამის საშუალება და ნებართვა არ მომეცა; ვინ ან რა იყო ამის მიზეზი, ჩემმა ამხანაგებმა კარგად იცოდნენ“-ო<sup>1</sup>.

ამრიგად ალი-ამედი თავისი სურვილისა და მისწრაფების წინააღმდეგ იძულებული გახდა შესულიყო საინჟინერო სასწავლებელში, სადაც მან 4 წელიწადი დაჰყო და რომელიც დაამთავრა 1831/32 წელს<sup>2</sup>.

საკმაოდ მომზადებულს თავის დარგში, განათლებულს, კულტურულს, ევროპული და აღმოსავლური ენების საუკეთესო მცოდნეს ალი-ამედი-ეფენდის დიდი მომავალი ელოდა ეგვიპტეში დაბრუნებისას. მაგრამ პარიზში ხანგრძლივმა ცხოვრებამ, აღმოსავლეთის ისტორიის, კერძოდ აღმოსავლური ლიტერატურის ისტორიის შესწავლამ, ამხანაგების (ჩვენი აზრით, იქ სხვა ქართველებიც იყვნენ ეგვიპტიდან და ოსმალეთიდან) წრემ დიდი გარდატეხა მოახდინა მის სულიერ განწყობაზე და გაუღვიძა მანამდე გაურკვეველი გრძნობები სამშობლოში დაბრუნებისა. ამას დაემატა კიდევ ერთი, სრულიად მოულოდნელი შემთხვევა, რომელიც ალი-ამედიმ მოიმიზეზა სამშობლოს სასარგებლოდ; ეს იყო მისი სასიამაოროსი და ყოფილი მებატონის მირახორ-ალა-კაპუჯი-ბაშის უეცარი გარდაცვა-

<sup>1</sup> ი. წილოსნის განმარტებითი ბარათი რუსეთის მთავრობისადმი 1839 წ.

<sup>2</sup> როგორც ეტყობა, ი. წილოსანი პარიზში ყოფნის დროს გაეცნო და დაუახლოვდა ცნობილ ისტორიკოსს მარი ბროსეს, რომელთანაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას მიმოწერა უნდა ჰქონოდა, რამდენადაც შეიძლება ვიფიქროთ პლ. იოსელიანის წერილებიდან მარი ბროსესადმი.



ლება კაიროში. რის შესახებ იცნობა მიიღო პარიზში. ამ ამბავმა დიდ შეაწუხა ალი-ამედი: „არა თუ ეგვიპტეში დაბრუნება არ მომეცნებოდა—წერს წილოსანი,—არამედ თვალეში სინათლე დამიბნელდა, რადგან მე იმ კაცს, როგორც ჩემს აღმზრდელს, პატივს ვცემდი, მე ის მიყვარდა“-ო.

მირაზორ-აღას სიკვდილის შემდეგ ალი-ამედი-ფენდის იგვიპტეში აღარაფერი იზიდავდა. აღამიანი, რომლის ხათრი და მორიდება ჰქონდა, მოუკვდა, ხოლო საცოლე სეთ-ზეინაბი, რომელსაც იგი ბავშვობიდან შეეზარდა, უფრო ეცოდებოდა, რომ ის იქაურ ადათ-ჩვევებზე იყო გადაყოლილი, ვიდრე ხიბლავდა; ის დიდი ქონებაც, რომლის მფლობელი უნდა გამხდარიყო სეთ-ზეინაბის შერთვით, ალი-ამედის ახალგაზრდა გულს არ იტაცებდა...

ამ დროისათვის იგი საკმაოდ ნაცადი იყო ცხოვრებაში, მან ბავშვობიდანვე მრავალი ტანჯვა-ვაება გამოიარა და უკვე ცხოვრების გზაც გაიკაფა, მაშასადამე, მას აღვილად შეეძლო დაჰკვირვებოდა განვლილსაც, აწმყოსაც და დაესახა მომავალი ცხოვრების პერსპექტივაც. ასეც მოიქცა. მას არ ჰქონდა დავიწყებული თავისი ბავშვობა, დედ-მამის სახლში ცხოვრება სამშობლოში, ვერაგული მოტაცება და გაყიდვა უცხო ქვეყანაში, ტანჯვა-ვაება მონად გაყიდვის დროს, გამუსლიმანება და თავისებურ და მკაცრ პირობებში აღზრდა ეგვიპტეში, სადაც მან გაატარა ბავშვობის, ყრმობის და ახალგაზრდობის წლები და მის წინაშე წამოიჭრა დილემა: მომავალი ცხოვრება სამშობლო ქვეყანაში-მდგომარეობის გამოურკვეველად, თუ მატერიალურად უზრუნველყოფილი, მდგრადი ცხოვრება და გარკვეული კარიერა უცხოეთში—ეგვიპტეში?

ამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო ორ გრძნობას შორის სამშობლოს სიყვარულმა და ერთგულებამ დასძლია და ალი-ამედი-ფენდიმ გადასწყვიტა საქართველოში დაბრუნება.

მაგრამ თავისი გადაწყვეტილება ალის ჯერჯერობით საიდუმლოდ უნდა შეენახა, არც ერთს ეგვიპტელ ახალგაზრდას არ უნდა ვაეგო ეს ამბავი, თორემ შესაძლებელია მას ძვირად დასჯდომოდ თავისი გადაწყვეტილება.

საიდუმლოება მან მხოლოდ თავის გულითად მეგობარს სელიმ-ფენდის გაუმხილა.

ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლები (1832 წ.), ე. ი. ის პერიოდი, როდესაც რუსეთმა ოსმალეთთან ზავი შეკრა (ადრიანოპოლის—1829 წ. და ყაინეს—1831 წ.) და ხელშეკრულება დასდო, რომლის ძალითაც რუსეთის ქვეშევრდომებს, ოდესმე სამშობლოდან

გატაცებულებს, ტყვეებად გაყიდულებს ან სამხედრო ტყვეებად წაყვანილებს; ნება ეძლეოდათ თავისი უძრავ-მოძრავი ქონება გაეყიდათ (თურქეთსა ან ეგვიპტეში) და სამშობლოში წასულიყვნენ. ალი-ამედის და ჰასან-სელიმს გაგონილი ჰქონდათ, რომ საქართველოს ყველა პროვინცია და კერძოდ გურია-სამეგრელო შეუერთდნენ რუსეთს და რომ ქართველები რუსეთის ქვეშევრდომებად გახდნენ. ალი-ამედიმ აღარ სდია თავის უძრავ-მოძრავი ქონების საკითხს, მიატოვა პარიზი და სტამბოლისაკენ (კონსტანტინოპოლისაკენ) გამოაშურა.

როგორი მგზავრობა მოუხდა მას ან რა საშუალებით წამოვიდა, ამის შესახებ არა ვიცით რა, ვიცით საბუთებიდან მარტო ის, რომ კონსტანტინოპოლში ჩამოსვლისას 1832 წელს<sup>1</sup> იგი გამოეცხადა რუსეთის საიმპერიო დესპანს გრაფ მედემს და თავისი ვინაობა — სადაურობა გააცნო. დესპანი დაინტერესდა ალი-ამედის პიროვნებით, მისი თავგადასავლით და ყურადღებითაც მოეპყრო მას.

მალე ალი-ამედი-ეფენდის ფიცი დაადებინეს სადესპანოში რუსეთის ქვეშევრდომობაზე და რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის ერთგულებაზე. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ სადესპანოში მან ფიცი დასდო მუსლიმანური სარწმუნოების წესების დაცვით და ყურანზედაც დაიფიცა<sup>2</sup> (მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის სამსახურებრივ ბარათში სარწმუნოებად — მართლმადიდებელს აღნიშნავს).

მოკლე ხანში ალი-ამედი-ეფენდიმ აღიდგინა თავისი ნამდვილი სახელი და გვარი (იოსებ წილოსანი) და დესპანის სამიჯლინებო ქალღმერთი გამოემგზავრა კონსტანტინოპოლიდან თავის სამშობლოში — საქართველოში მთავარსარდლის (გენერალ-ანშეფის) ბარონ როზენის

<sup>1</sup> ზუსტად თვე გამოურკვეველია. მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ალი-ამედის საქართველოში დაბრუნების ნებართვა მეფისგან მოუვიდა დესპანის შუამდგომლობის საფუძველზე და რომ კონსტანტინოპოლიდან ს. პეტერბურგამდე შუამდგომლობას და იქიდან პასუხის მიღებას მოუწოდებოდა არა ნაკლებ 3—4 თვისა და იმასაც, რომ წილოსანი მხოლოდ 2. XI მიიღეს სამსახურში, ვგონებთ, რომ იგი პარიზიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა მაისის ან ივნისის თვეში.

<sup>2</sup> ფიცის ტექსტი, შედგენილი ფრანგულ და არაბულ ენებზე და გადაწერილი თვით იოსებ წილოსნის (ალი-ამედის) მიერ სადესპანოში, ერთვის ამ შრომას (ფოტორეპროდუქციის სახით).

ვანკარგულებაში — გამოსაყენებლად სათანადო ადგილზე<sup>1</sup>.

ამგვარად დამთავრდა იოსებ წილოსნის ცხოვრების მეორე პერიოდი, ე. ი. უცხოეთის მონობაში ყოფნა და დაიწყო მისი ცხოვრება და მოღვაწეობა სამშოლო ქვეყანაში.

#### IV

იოსებ წილოსანი სამშობლოში, ჩამოვიდა. გადმოცემით მან მშობლიურ სოფელ ლანჩხუთს მიაკითხა, სადაც თავისი დედ-მამა და უახლოესი ნათესავები ეგულდებოდა. მაგრამ ამ დროისათვის მისი დედ-მამა უკვე დახოცილიყო.

იოსები თბილისისაკენ გამოეშურა და ჩამოსვლისთანავე, კონსტანტინოპოლის სადესპანოდან მიღებული სათანადო საბუთებით ხელში გამოეცადა საქართველოში მთავარსარდალს გენერალ როზენს. მან მიიღო წილოსანი და 2 ნოემბერს 1832 წელს გაამწესა იგი თავის კანცელარიაში მთარგმნელად, ხოლო ეგვიპტესა და პარიზში მიღებული სამხედრო განათლება და საინჟინერო სპეციალობა მხედველობაში არ იყო მიღებული და ამიტომ ი. წილოსანი უჩინოდ დანიშნეს. „Определен тогда же главнокомандующим в Грузии в звании письменного переводчика 1832 года ноября 2 числа.“

შოლოდ წლინახევრის სამსახურის შემდეგ ბარონ როზენის შუამდგომლობისა და დახასიათების საფუძველზე მას მისცეს ოფიცრის პირველი ჩინი — პრაპორშჩიკისა, რაზედაც სპეციალური ბრძანება გამოიცა: „Произведен в прапорщики тысяча восемьсот тридцать четвертого года июня восемнадцатого дня с оставлением при генерал-адъютанте бароне Розене 1834 Июня 14“.

იმავე წელს იოსებ წილოსანი ჩარიცხეს კავალერიაში და დაუნიშნეს მას ჯამაგირი 150 ჩერვონეცის რაოდენობით წელიწადში. 1837 წელს წილოსანმა მიიღო სამხედრო წარმატება — პორუჩიკის ჩინი და ჩაირიცხა კავკასიის ცალკე კორპუსის შემადგენლობაში,

<sup>1</sup> იოსებ წილოსნის ნამსახურობის სრულ სიაში — Полный послужной список-ში — ამ საკითხზე შემდეგი ცნობა მოიპოვება: „Когда возвратился, явился в Константинополь к посланнику нашему и по высочайшему повелению прислан в Тифлис для употребления на службу по способностям 1832 ноября 2“.

ხოლო ამავე წელს აპრილიდან იგი ომში იყო გაწვეული წებელდასა<sup>1</sup> და ადღერის კონცხის დასაპყრობად.

ეს ფაქტი შემდეგნაირად არის ჩაწერილი წილოსნის ნამს. სიაში: „В походах и делах находился против горцев: в 1837 году с 14 апреля по 11 ноября в экспедиции для покорения Цебельды и для занятия мыса Адлера (Константиновского) и возведения на оном укрепления, 30 апреля в движении от Сухум-Кале к Цебельде и 3 мая при занятии подошвы горы Агши, в перестрелке и прогнании цебельдинцев на вершину означенной горы, 5-го в перестрелке с цебельдинцами с горы Агши, 10-го в перестрелке с неприятелями, при выборе пастбищных мест; 11-го в перестрелке и выбитии цебельдинцев из завалов и укреплений 4 аулов в окрестностях деревни Антыпирь и 17-го в перестрелке с цебельдинцами и при открытии мест удобных для водопоя; с 2 по 17 июня в десанте отряда; 7-го при десанте войск на мыс Адлер и занятии оного под сильным неприятельским огнем, продолжавшимся во весь день, 9-го в отражении атаки горцев, произведенной на левом фланге аванпостов прикрывавших лагерь и при прогнании неприятеля на левом берегу р. Музолит артиллериею с берега Аякс и в то же время при поражении неприятеля, собравшегося против левого фланга и центра передовой цепи огнем артиллерии и ружейным, причем перестрелка продолжалась до вечера. 12, 14 и 15-го в перестрелке с горцами цепи, прикрывавшей лагерь 837 г. ноября 11 дня“.

ამ ომის დამთავრების შემდეგ თბილისში დაბრუნებისას ი. წილოსანმა დააპირა ცოლის შერთვა. მაგრამ, როგორც ეტყობა, მატერიალურად შევიწროებული მდგომარეობა მას უშლიდა ხელს ამ ნაბიჯის გადადგმაში. ჯამაგირი, რომელიც მას სამსახურიდან ეძლეოდა, ვერ დააკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებებს ხოლო სხვა ქონება ან შემოსავალი მას არ ჯააჩნდა.

<sup>1</sup> წებელდას (ანუ ცაბალს) ჭფლობდა იმ დროს ფეოდალი მოსოუსტ მარშანია, როგორც ამ მხარის მთავარი. 1837 წელს რუსეთის მთ. სარდლ. საქართველოში გენერ. როხენის ექსპედიციის შედეგად წაბალდის მფლობელმა მოსოუსტ მარშანიამ რუსეთს მორჩილება გამოუცხადა. მიუხედავად ამისა, ამის შემდეგადაც წაბალი, მხოლოდ პატარა ხანს, დარჩა მარშანიას სამფლობელოდ (იხ. КК 1868 წ. გვ. 390).



სწორედ ამ პერიოდში მან დაუწყო დავა ეგვიპტის მთავრობას და სამღვდლოებას იმ მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც მას, როგორც მონობიდან განთავისუფლებულს, ეკუთვნოდა მისი ყ. მებატონის კაპიჯი-ბაში მირაზორ-ალას ანდერძის თანახმად. როგორც ჩანს, წილოსნის ასეთი ნაბიჯი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ მის მიერ მიღებულ ცნობით მირაზორ-ალას ქალიშვილი სეთ-ზეინაბი (ალი-ამედის ყ. საცოლე), ი. წილოსნის სამშობლოში გაქცევის შემდეგ, გათხოვილა ვილაც ეგვიპტელზე, რომელსაც იგი მოუკლავს (დაუხრჩვია) და რადგანაც სეთ-ზეინაბს შვილები არ დარჩენია, მთელი უძრავ-მომრავი ქონება, ანდერძის თანახმად, განთავისუფლებული მონების ალი-ამედი-ეფენდის და სელიმ-ეფენდის ხელში უნდა გადასულიყო.

1839 წელს წილოსანმა ამ საკითხის შესახებ მიმართა თავის ამხანაგს სელიმს მეგობრული წერილით და ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, რათა მას შუამავლობა ეკისრა ეგვიპტის მთავრობასთან მისი მემკვიდრეობის მიღების საკითხში. მაგრამ არც ჰასან-სელიმისაგან და არც ეგვიპტის მთავრობისაგან მას პასუხი არ მოსვლია. ამიტომ 1839 წლის 24 ივნისს მან განმეორებით გაუგზავნა ოფიციალური არზა კაიროში ეგვიპტის მთავრობას და აგრეთვე მეგობრული წერილი სელიმ-ეფენდის<sup>1</sup>.

საყურადღებოა არზის ტონი და აღმოსავლური ხერხები, ხმარებული წილოსნის მიერ. წილოსანი ცდილობს ეგვიპტის ფაშას ხოტბა შეასხას ისე, რომ ამავე დროს არ იყოს შებღალული რუსეთის მთავრობის ავტორიტეტი. იგი აღწერს და ამართლებს რა რუსეთში თავისი წამოსვლის მიზეზებს, ამავე დროს „მადლობელია ეგვიპტის მთავრობისა იმ ყურადღებისა და სათნოებისათვის“, რომელიც მის მიმართ გამოიჩინა ფაშამ.

...„მე გავიგე:—სწერს წილოსანი—რომ ორმა უდიდესმა სახელმწიფომ—რუსეთმა და ოსმალეთმა პირობა დასდეს, რომლის მიხედვით ოსმალეთიდან წასულ რუსეთის ქვეშევრდომებს აქვთ უფლება, დატოვონ რა ოსმალეთში თავიანთი ქონება, გაჰყიდონ იგი და განაღდებული თანხებით ისარგებლონ, რის განსახორციელებლად პირველად დაწესდა 18 თვის ვადა; მივიჩნეე რა ეს მდგომარეობა ჩემთვის პირადად ხელსაყრელ საშუალებად და არ მსურდა რა პარიზში დარჩენა, რათა ეგვიპტის ფაშის ნამუსი არ ყოფილიყო გა-

<sup>1</sup> იხ. დანართები №№ 1, 2,



კიცხული და შებღალული, საუკეთესოც ვცანი ჩემს სამშობლოში დაბრუნება და ხელმწიფე იმპერატორის სამსახურში<sup>1</sup> შესვლა, რაც შევასრულე კიდევ; ვთვლი ამ ჩემს მოქმედებას გამომდინარედ ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა შორის დადებულ პირობიდან, მასთან ეგვიპტის ფაშისათვის არაუსიამოვნოდ, არამედ, პირიქით, სასახელოდ, რომ მისი წყალობით და სათნოებით ერთ-ერთი გაბედნიერებულთაგანი ამჟამად საქართველოში იმყოფება და ამართლებს მის სულდიდობის სახელს“.

ამავე არზაში ი. წილოსანი სწერს ეგვიპტის მთავრობას შემდეგს: „მუსლიმანური შარიატის კანონისა და ადამ-ჩვევების მიხედვით, არსად არც ერთს ისტორიაში არ არის იმისი მაგალითი, რომ ანდერძი გაუქმებულიყოს, განსაკუთრებით კი ისეთი, რომელიც დადასტურებულია გამგეობის ანუ „მეჰტემეს“ მიერ, მით უფრო, რომ იგი შედგენილი იყო თვით ზემოხსენებულ კაპიჯი-ბაშის მიერ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად და ბეჯითად ემსახურებოდა ეგვიპტის ფაშას, რომელიც არასდროს არ დათანხმდება ამ ანდერძის დარღვევაზე“<sup>2</sup>. ამავე დროს წილოსანი, ასაბუთებდა რა სამშობლოში დაბრუნების მიზეზს, სთხოვდა რუსეთის მთავრობას შუამდგომლობა აღეძრა ეგვიპტის მთავრობასთან, მირაზორ-ალას ანდერძის მიხედვით, მეჩვიდრეობის საფუძველზე, მისი კუთვნილი ქონება გაეყიდათ ადგილზე, ხოლო ფული მისთვის გადმოეგზავნათ, მით უფრო—სწერდა წილოსანი—რომ ამ ანდერძით კუთვნილი ქონება ეგვიპტის ფაშის განკარგულებით უკვე სრულად ჩაბარდა ჩემს ამხანაგს სელიმ-ფეჟენდის, კაპიჯი-ბაშის ქალიშვილის ზეინაბის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც მემკვიდრეები არ დარჩა“.

თავის ამხანაგს სელიმს ი. წილოსანი წერილობით თითქმის იმასვე სთხოვდა: „გაყიდე ან შენ თვითონ შეიძინე ჩემი კუთვნილი ქონების ნაწილი, გარდა ამისა, დღიდან მემკვიდრეობის ჩემზე დამ-“

<sup>1</sup> იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I.

<sup>2</sup> წილოსანი წინასწარვე სწერდა ამ შინაარსით არზას ეგვიპტის ფაშას, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პასუხი არ მიეღო. პასუხი მას უფრო გვიან მოუვიდა, მაგრამ ჩვენ ეჭვი არ გვებარება რომ წილოსანს ალბათ საიდანმე ჰქონდა გაგებული, რომ ეგვიპტის მთავრობა წინააღმდეგია მისცეს მას სამემკვიდრეო წილი. ამას ადასტურებს მიმოწერაც ეგვიპტის ოფიციალურ ორგანოებსა და მოლას შორის, რომელიც 1840 წელს გაიმართა კაიროში რუსეთის სადესპანოს მემკვიდრეობით, აღი-ამედი წილოსანისაგან სათანადო განცხადებათა და პროტესტების მიღების შემდეგ მემკვიდრეობის საკითხზე (იხ. დანართი № 9).



რეციტებისა კუთვნილი თანხებიც ამ ფულებთან ერთად გადმომიგზავნე თბილისში“.

მაგრამ ეტყობა, მისმა ყოფილმა გულითაღმა მეგობარმა მას არა თუ კუთვნილი არ გადმოუგზავნა, არამედ ყველა მისი წერილი უპასუხოდ დასტოვა<sup>1</sup>. მალე ეგვიპტის მთავრობამ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო ეგვიპტის მუსლიმანური სამღვდელთა წინამძღოლმა (მუფტიმ), თბილისის მუფტის მეშვეობით, უპასუხეს, რომ წილოსანს პრეტენზიაზე უარი ეთქვა იმის გამო, რომ იგი ვადუდგა ალყურანს და ულალატა სარწმუნოებას, რომელსაც იგი იზიარებდა ეგვიპტეში ყოფნის დროს. მართალია, —სწერდა მუფტი, მას, როგორც მონობიდან განთავისუფლებულს, ეფენდს კაპიტი-ბა-ში-მირახორ-ალას ანდერძით ეკუთვნოდა უძრავ-მოძრავი ქონება, რაც მეჭქემეშიაც იყო დადასტურებული, მაგრამ რადგან იგი (წილოსანი) ყურანის რენეგატი გახდა, შარიატის მიხედვით, წყევლა-კრულვის ღირსია და ამიტომ ეკარგება უფლება მთელ ამ ქონების მიღებაზეო.

ასეთია მოკლედ ი. წილოსნის შემკვიდრებაზე დავის შედეგები.

ამ დროს წილოსნის მეგობარმა სელიმ-ფეხენდიმ ეგვიპტის სარდლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია: ამას ადასტურებს წილოსნის წერილობითი განმარტება წარდგენილი მის მიერ რუსეთის მთავრობისადმი სელიმ-ფეხენდის ვინაობის საკითხზე, სადაც ის წერს: „ხოლო ჩემთან ერთად გაყიდული თანამემამულე, სახელად სელიმ-ფეხენდი, ამჟამად იმყოფება ეგვიპტეში გენერალური შტაბის უფროსად და ცხოვრობს ნავსადგურ ბულაყთან აწ განსვენებული ის-მაილ ფაშას სახლში“-ო.<sup>2</sup>

40-იან წლების დასაწყისში (1840—41 წწ.) წილოსანი ოჯახს მოეკიდა: მან ცოლად შეირთო სომეხ დეკანოზის ნიკოლოზ იზმიროვის ქალი ეფემია, თბილისში მცხოვრები და საკმაო ქონების პატრონი<sup>3</sup>. ასე შეიქმნა იოსებ წილოსანი თბილისის მკვიდრი.

<sup>1</sup> ვგონებთ, რომ სელიმს ჯერ ერთი არ ჰქონდა საშუალება, მეორე ისიც, რომ ვერა ბედავდა წილოსნისათვის პასუხის გაცემას, ვინაიდან წილოსანს ეგვიპტეში ყურანის მოლაღატედ სთვლიდნენ და აგრეთვე, ჩანს, არც ქონების დანაწილება ეკაშნიკებოდა (სელიმ-ფეხენდის განმარტება, წარდგენილი ეგვიპტის უზენაეს საბჭოსადმი 1840 წელს ი. წილოსნის პრეტენზიის გამო შემკვიდრების თაობაზე — დანართი № 9)

<sup>2</sup> ი. წილოსნის განმარტება 1839 წ. 24 ივნისისა.

<sup>3</sup> წილოსნის პატაკი მთავარ სამორიგოსადმი 20/VI 1863 წ. № 51 (იხ. დანართი № 6)

ამავე პერიოდში წილოსანმა სცადა კომერციული საქმეების დაწყება — მოიჯარადრეობა სამხედრო მშენებლობაზე, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს ნაბიჯი ჩაე-

## V

ეს ის პერიოდი იყო საქართველოში, როდესაც მეფის პოლიტიკა ოდნავ შეიცვალა. შემოღებულ იქნა მთავარმართებელთა ინსტიტუტის ნაცვლად მეფისნაცვლობა (1844—45 წ. წ.) და ამ თანამდებობაზე დაინიშნა ცნობილი მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვი. დაიწყო სავაჭრო კაპიტალის განმტკიცება და სამრეწველო კაპიტალის ჩასახვა. სავაჭრო კაპიტალი და წვრილი ბურჟუაზია იმ დროს უკვე უმთავრეს როლს თამაშობდა თბილისის ცხოვრებაში. ამ პერიოდშივე დაიწყო ის ცვლილებები, რომლებმაც ძირი გამოუთხარეს ფეოდალურ იერს თბილისის ცხოვრებაში და გადააქციეს იგი ბურჟუაზიულ ქალაქად. ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით ამ პერიოდში კავკასიაში თავდებოდა უკვე ყველა ნაწილის ინკორპორაცია რუსეთის იმპერიაში<sup>1</sup>.

ამავე პერიოდში საქართველოში და კერძოდ თბილისში წარმოიშვა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა, მოწინავე ინტელიგენციის ახალი თაობა, რომელიც წინ უსწრებდა თერგდალეულთა თაობას; იოსებ წილოსანმა ამ პერიოდში უკვე დაიწყო საზოგადო საქმიანობა. იგი ებმება მეცნიერულ მუშაობაში—ენათმეცნიერების დარგში, ამყარებს მკიდრო საქმიან კავშირს აკად. მ. ბროსესთან, რომელიც პეტერბურგშიაც ინახულა, პლ. იოსელიანთან და სხვებთან, შეუდგება თვითმასწავლებლების შედგენას და სხვა საქმიანობას<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, რომ იოსებ წილოსანს შესაძლებელია დაეთმოს სათანადო ადგილი ამ პერიოდის მოწინავე კულტურულ მოღვაწეთა რიგებში.

<sup>1</sup> შალა—კომერცია არ გამოუვიდა. საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმის ზელნაწერთა განყოფილების „Hd“ ფონდში დაცულია საბუთი № 7106—შტაბსკაპიტან იოსებ წილოსანის და მე-14 კლასის ჩინოვნიკის შიომ შიოვეის შორის დადებული პირობის წერილი ოზურგეთის მახლობლად ლიზაურის კარანტინის შენობის აგების შესახებ. საბუთი დათარიღებულია ჩყმა-ს წელს, მარტის 4—სა დღ. (ე. ი. 1841 წლ. 20 მარტს (იხ. დანართი № 8).

<sup>2</sup> შ. ჩხეტიია. თბილისის ისტორიისათვის. ენიშკის გამოცემა, 1938 წ. გვ. 35—37.

<sup>3</sup> ამ წლებიდან წილოსანს საკმაოდ კარგად იცნობენ თბილისის და ოსეთის მოწინავე კულტურული ინტელიგენციის წარმომადგენლები: პლ. იოსელიანი, ალ. ჭავჭავაძე, ს. პეტერბურგიდან მასთან მიმოწერაშია აკად. მ. ბროსე, დოც. ყუბანეიშვილის მიერ გამოქვეყნებული—პლ. იოსელიანის მიმოწერა ბროსესთან—ბათუმის სამაჟს. ინსტიტუტის შრომები, № 1—1941 წ.).

1845—1847 წლებში წილოსანი, განაგრძობდა რა სამსახურს კავკასიის არმიის შტაბში, მეფისნაცვლის ვორონცოვის ბრძანებით მივლინებული იქნა მისივე დიპლომატიური კანცელარიის განკარგულებაში ტრაპიზონში გურული დესპანებას საბუთების სათარგნელად ოსმალურიდან რუსულად<sup>1</sup>. კომისიაში წილოსანმა იმუშავა შვიდი თვე და დავალებული სამუშაო შეასრულა.

ამ პერიოდშივე ი. წილოსანი შრომების წერას შეუდგა. მათი უმეტესი ნაწილი აღმოსავლური ენების თვითმასწავლებლებს და საცნობარო წიგნებს წარმოადგენენ. სამხედრო სამსახურში ყოფნა და ისიც შტაბის თარჯიმანობა, მასთან მეფისნაცვლის დიპლომატიურ კანცელარიაში სამსახური ბევრს დროს ართმევდა მას, ამიტომ 1848 წლის 18 ივნისს დაანება თავი სამსახურს და „ოტსტავკაში“ გამოვიდა მცირე პენსიით. მას შემდეგ იკი 11 წლის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა თავის შრომებზე.

1856 წელს გამოსცა პირველი ბეჭდვითი შრომა<sup>2</sup> შემდეგი სახელწოდებით (მოგვეყავს რუს. და ფრანგ. ტექსტი):

„Новые разговоры на российском, французском, турецком и татарском языках с русским произношением двух последних. Разделенные на 130 частей, для употребления юношеству и всем начинающим учиться восточным языкам“.

„Nouveaux Dialogues Russes, Français, Turcs et Tartares avec la prononciation des deux dernières langues en Russe, divisés en 130 parties, à l'usage de la jeunesse et de tous ceux qui commencent à apprendre les langues orientales“.

par M. I. L. Tsilossany.

წიგნი<sup>3</sup> 607 გვერდის მოცულობითაა. მას წინ უქლვის წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს ნაშრომის გამოქვეყნების მიზანს. იკი ლაპარაკობს, რომ „აღმოსავლური ენების, განსაკუთრებით კი მუსლიმანური ენების შესწავლისათვის საჭირო სახელმძღვანელოების შოვნა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ამიტომ მიმდინარე

<sup>1</sup> რუსეთის მთავრობის დავალებით დესპანები გაემგზავრნენ ტრაპიზონში ოსმალეთის მთავრობასთან (ფაშასთან) გურიასა და ქობულეთს შორის (მდ. ჩოლოქსა და წარაპონას შუა) საზღვრების დასაწყესებლად და სადავო მიწის ნაკვეთების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

<sup>2</sup> ჩვენი აზრით, ეს შრომა პირველი უნდა იყოს, ვინაიდან ცნობები უფრო ადრინდელ ბეჭდვითი შრომებზე არ მოიპოვება (მეფ. ცენზურის ვიზა 1855 წლ. 25 აგვ. თარიღით).

<sup>3</sup> იხ. სურ. 2.

საუკუნის განმავლობაში მრავალი ევროპელი იძულებული გახდა ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომები მიეღო. გაძლიერებული მეცადინეობის შედეგად ამ ენებისა და სახელმძღვანელოების შედგენაში ევროპელებმა ოჟმცა მიაღწიეს ერთგვარ მიზანს, მაგრამ მისი განხორციელება მათ კარგად ძვირი დაუჯდათ; მართალია, მოსწავლე ახალგაზრდობამ მრავალ წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაეუფლა აღმოსავლური ენების შესწავლას. ვარ რა გაცნობილი თეორიულად და პრაქტიკულადაც მუსლიმანურ, ნაწილობრივად რუსულ და ფრანგულ ენებს და მსურს რა ხელი შევეწყო ევროპელების, განსაკუთრებით კი რუსების კეთილი სურვილების განხორციელებას, მე პირველ ყოვლისა ვანეზრახე უსაქიროეს სახელმძღვანელოების შედგენა მუსლიმანური ენების შესასწავლად გაადვილებული მეთოდის მიხედვით, რუსულ ენაზე თარგმნის საშუალებით და სახმარებელი სიტყვებისა და უსაქიროეს წინადადებათა გამოთქმით რუსული ასოებით. ამრიგად ჩემ მიერ შედგენილი იქნა უსაქიროესი სიტყვების ლექსიკონი და ურთიერთობაში ხშირად ხმარებული საუბრები, ამ სახელმძღვანელოებიდან პირველ რიგში საქიროდ მივიჩნიე წინამდებარე, 130 ნაწილიდან შემდგარი, საუბრების გამოცემა... <sup>1</sup>.

წიგნის რეალიზაციიდან განსაზღვრული პროცენტი ავტორმა რუსეთის დაჭრილ მეომართა კომიტეტის სასარგებლოდ გადასცა და განაცხადა: „ვისახავ რა მიზნად ხელი შევეწყო რუსეთის ლაშქრის წარმატებებს, მსურს ჩემი წვლილი გავიღო დაჭრილ და დასახინჩრებულ მეომართა დასახმარებლად, რომელნიც იბრძვიან სარწმუნოებისა და მშობლიური რუსეთისათვის“<sup>2</sup>. ბოლოს ავტორი დასძენდა: „მე ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, ხოლო შრომას — საკმაოდ ანაზღაურებულად, თუ წინამდებარე სახელმძღვანელოების საშუალებით გავუკაფავ ვზას განათლების მოყვარულთ აღმოსავლური (მუსლიმანური) ლიტერატურის შესწავლაში და მადლობით მივიღებ ყოველგვარ სამართლიან შენიშვნასა და შესწორებას, მომავალში შრომების შედგენის დროს სახელმძღვანელოდ“.

მიუხედავად ავტორის ასეთი მიმართვისა, კრიტიკული მიმოხილვა მისი შრომისა საქართველოს ან თბილისის პერიოდიკაში არ ჩანს. წინასიტყვაობაში ხსენებულ „სახელმძღვანელოთა“ რიცხვს

<sup>1</sup> აღნიშნული ტექსტი თარგმნილია ჩვენ მიერ რუსულიდან.

<sup>2</sup> ამ ხანში მთავრდებოდა აღმოსავლეთის ომი (1853—1856 წწ.).

ეკუთვნის აგრეთვე მეორე შრომაც (არაბულ და ფრანგულ ენაზე), გამოუქვეყნებლად დარჩენილი, რომლის შედგენის დრო შესაძლებელია დათარიღდეს როზენის მთავარმართებლობის დროით და არა უადრეს 1833 წლისა, რდცა წილოსანი ახალჩამოსული იყო საქართველოში და განწესდა თარჯიმნად კავკასიის მთავარმართებლის ბარონ როზენის კანცელარიაში, რასაც ავტორი აღნიშნავს ამ შრომის თავფურცელზე.

იგი წარმოადგენს არაბული ენის თვითმასწავლებელს გამოთქმითა და თარგმანით თურქულსა და ფრანგულ ენებზე. ხელნაწერი<sup>1</sup> სუფთად, გარკვეული ხელით არის გაფორმებული 500 გვერდის მოცულობით, რომელსაც აქვს გაკეთებული თავფურცელი არაბულ და ფრანგულ ენაზე. მოგვეყავს ფრანგული ტექსტი:

Dialogues français et arabes, Exercie ou familier pour apprendre à parler la langue arabe.

Suivies d'un Manuel Epistolaire ture, composé de deux cents lettres.

Par Joussouff Tchilossany, Géorgien, Interprete pour le langues orientales à la chancellerie diplomatique de S. Ex. le commandant en chef de la Georgie Baron de Rosen etc, etc“.

გარდა ამისა, სამოციან წლებში მან შეადგინა თვითმასწავლებელი (самоучитель) მუსლიმანური ანბანისა, რომელიც ავტორმა გამოსცა 1862 წელს<sup>2</sup>. შრომა შეიცავს 4 ენას: არაბულს, თურქულს, სპარსულს და რუსულს; უკანასკნელზე თარგმნილია ყველა წინადადება და სიტყვა. ამ წიგნში მოცემულია საინტერესო წინადადებანი, სიტყვები, ანდაზები, რომლებიც ხშირ ხმარებაშია. საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ადგილმდებარეობის, გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული ცნობების შესაკრებად გამოკითხვებში ხმარებულ სიტყვებს და წინადადებებს, რაც ავტორის მიერ ამ დარგის ზედმიწევნით კარგი ცოდნით უნდა აფხსნათ. წიგნს შემდეგი თავფურცელი აქვს:

Самоучитель мусульманской азбуки, с переводом и произношением на русский язык для употребления юношеству и всем начинающим учиться восточным языкам.

Составленный письменным переводчиком восточных языков при особе Начальника Главного Штаба Кавказской Армии, Кан-

<sup>1</sup> წიგნის ორიგინალი ხელნაწერის სახით დაცულია ავტორის შვილიშვილის, ეფემია ნიკოლოზის ასული წილოსანი-ერისთვის, თჯვანში.

<sup>2</sup> წიგნის თავფურც. იხ სურ. 4.



целярии его и при Дипломатической Канцелярии Гаме-  
 Кавказского состоящим по армейской кавалерии майором  
 И. Л. Цилюсани. Тифлис. 1862 год.<sup>4</sup>

ამ წიგნის წინასიტყვაობაში (მოგვყავს მისი რუსული ტექსტი)  
 ავტორი, ახსნის რა იმ მეთოდს, რომელსაც იგი მიმართავს თვით-  
 მასწავლებლის შედგენისას, ამავე დროს ნაწილობრივად, საინტერე-  
 სო ცნობებს იძლევა თავისი თავგადასავლის შესახებ უცხოეთის მო-  
 ნობაში აღმოსავლური ენების შესწავლის შესახებ.

„...После окончания учения алькорана, мусульманским  
 детям преподают учение грамматики, истории, стихов и частных  
 переписок, без сказанных вспомогательных языков.

Из этого ясно видно, что для христиан вовсе не нужно  
 чтение алькорана и даже оно ни мало не способствует изучению  
 обыкновенного мусульманского чтения... Желая с своей сторо-  
 ны облегчить это изучение я сам, как теоретик и очевидец пре-  
 подавания грамоты в Египте, иде сам учился разным мусульманским  
 языкам<sup>1</sup>, составил сию азбуку с переводом и произношением на  
 русский язык, довольствуясь арабскими складами для скорей-  
 шего изучения чтения мусульманских сочинений и прибавил  
 некоторые практические грамматические правила, необходимые  
 для ведения переписки. Я желал принести пользу всем хрис-  
 тианам; желал, чтобы дети наши, не теряя времени на познание  
 вспомогательных языков, прямо начали читать арабские склады,  
 которые весьма полезны для чтения сочинений исторических,  
 литературных, а также ведения обыкновенной переписки в обще-  
 житии...“

ვალკე უნდა შევეხოთ იოსებ წილოსანს, როგორც მთარგმნელს.

1852 წელს თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიასთან დაარს-  
 და ძველი ქართული საეკლესიო სიგელ-გუჯრების მთარგმნელი კო-  
 მისია. ამ კომისიას დაევალა სინოდის კანტორასა, დაწესებულებებ-  
 ში და ეკლესიებში დაცული საეკლესიო სიგელ-გუჯრების შეკრება,  
 მათი გარჩევა-კლასიფიკაცია, თარგმნა რუსულად და მეფისნაცვლის  
 კანცელარიაში წარდგენა სათანადო უწყებებში დასაგზავნად.

ხელნაწერებსა და საბუთებს შორის ზოგიერთი სპარსულ, თათ-  
 რულ და არაბულზე იყო ნაწერი. ასეთი საბუთების სათარგმნელად  
 მოწვეული იყვნენ სპარსული ენის მასწავლებელი ვაჟთა გიმნაზიისა

<sup>1</sup> ხაზი გასმულია ჩვენ მიერ.

<sup>2</sup> ამ წინასიტყვ. ფრანგ. და თათრ. ტექსტები იხ. სურ. 5<sup>1</sup>, 5<sup>2</sup>, 6<sup>1</sup>, 6<sup>2</sup>, 6<sup>3</sup>.



მირზა-შაფი-სიდიხ-ოლლი, რომელიც მალე გარდაიცვალა, და თბილისის საჯარო ნოტარიუსი საჩაჯევი (სპარსული ენის კარგი მცოდნე). მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ საჩაჯევემა შესძლო მხოლოდ სპარსული საბუთების თარგმნა, ხოლო არაბულის და თურქულისა ვერა.

ამის გამო კომისიის თავმჯდომარის მოადგ. ნიკ. იოს. ფალავანდოვმა 1854 წ. 9 იანვარს მიმართა დიპლომატიური კანცელარიის უფროსს კონსტ. თევდ. ლელლის თხოვნით—რომელიმე თავის მოხელისათვის, ვინც კი იცოდა თურქული ენა, დაევალებინა 15 საბუთის თურქულიდან რუსულად თარგმნა<sup>1</sup>. ამის საპასუხოდ ლელლიმ, როგორც ეს ირკვევა მისი ოფიციალური წერილიდან, 1854 წ. 30 იანვრის თარიღით და № 75-ით, მაშინათვე კომისიაში გაგზავნა სამსახურის გარეშე მყოფი მაიორი წილოსანი<sup>2</sup>. წილოსანი მართლაც 19 იანვარს უკვე გამოცხადდა კომისიაში და ხელწერილის ქვეშ მიიღო სათარგმნელად თერთმეტი საბუთი, თურქულ და არაბულ ენაზე ნაწერი, რომელნიც თარგმნის უმაღლვე 29 იანვარს უკან დაუბრუნა კომისიას<sup>3</sup>.

რამდენად კარგად იცოდა წილოსანმა არაბული და თურქული, ამას მოწმობს შემდეგი. სიგელ-გუჯრების მთარგმნელი კომისიის უწყისში შეტანილია ასეთი ცნობა: „№№ документов: 521, 522, 523 неизвестно от кого, как сии документы писаны на старинном турецком языке и по неразборчивости своей для чтения не удобны, то они чиновником Саралжевым оставлены без перевода“. ხოლო დანარჩენი საბუთების შესახებ წერია: „№№ 524, 525, 526, 527, 428—сии пять бумаг составляют партикулярные письма, которые нельзя перевести потому, что они разорваны пополам и половинок нет“.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ი. წილოსანმა (19—29 იანვარში)<sup>4</sup> ადვილად სთარგმნა ეს საბუთები და წარუდგინა კომისიას; უკანასკნელმა შესრულებული სამუშაო მოიწონა და თავისი ვიზა მისცა; „Рассмотрено. Палавандов. Ю. Витте“—(ესენი არიან მთავრობის კომისიის წევრები). ხსენებული სამუშაოს შესრულებისათვის ი. წილოსანი 1854 წ. დაჯალდოვებულ იქმნა 20 ჩერვონეცით (იხ. დანართი №№ 3, 4 და 5).

1856—1858 წ. წ. წილოსანს ეტყობა გაუჭირდა ცხოვრება,

<sup>1</sup>, <sup>2</sup>, <sup>3</sup> საბუთ. ასლები ინახება ი. პ. არჯვეანიძე-მაკაროვის არქივში.

<sup>4</sup> თარიღები ამოღებულია ი. პ. არჯვეანიძე-მაკაროვის არქივიდან.



დანართები და სურათები

ახსნა-განმარტებებით

ი. წალოსნის წირილი თავის მეგობარ სელიმ-ეფენდისადმი

თარგმნილი ფრანგულიდან

თბილისი, 27 ივნისი, 1839 წელი.

ჩემო უძვირფასესო მეგობარო  
 სელიმ-ეფენდი!

მას შემდეგ, რაც მე და შენ დავშორდით ერთმანეთს, მე კეთილი გულით გამოგაგზავნე რამდენიმე წერილი, რომ შენ გეცნობებოდა ჩემთვის შენი ამბავი და კარგად ყოფნა, მაგრამ დღემდე შენგან არავითარი პასუხი არ მიმიღია. უკვე ერთი წელიწადია, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რაც გავიგე, რომ ჩვენი უბედური სეთი ზეინაბი დაუხრჩვია თავის ქმარს და რომ უძრავი ქონება, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენ უნდა დაგვრჩენოდა სამემკვიდროდ იმ ანდერძის თანახმად, რომელიც მისმა მამამ დატოვა, შენ სავსებით გადმოგეცა მისი უდიდესობის ეგვიპტის ფაშის ბრძანების თანახმად. შენი უანგარო და ერთგული მეგობრობა ჩემდამი მარწმუნებს იმაში, რომ შენ გადმომიგზავნი ყველა იმის საფასურს, რაც მეკუთვნის ჩვენის კეთილის მყოფელის ანდერძის თანახმად, რასაკვირველია, თუ გეცოდინება ჩემი საცხოვრებელი ადგილი და მისამართი.

მე ეხლა გავბედე გადმომეგზავნა შენთან ეს წერილი ჩვენი ეგვიპტეში გენერალური საკონსულოს მეშვეობით, და მეთხოვნა შენთვის კეთილი გენებებია და გაგეყიდა ან თვით შეგეძინა მთელი ის უძრავი ქონება, რომელიც მე მეკუთვნის ანდერძის თანახმად, იმ პირის დასწრებით, ვისაც რუსეთის იმპერიის გენერალური კონსული გრაფი მედემი დანიშნავს, იმ წესით, როგორც მე ვთხოვე მას და იმ პირობით, რომ განაღდებული თანხები, აგრეთვე შემოსავლის ნაწილი, რომელიც შენ უთუოდ შემინარჩუნე, იმ დღიდან, რა დღიდანაც ეს ქონება შენზე გადმოვიდა, გადმომეგზავნოს მე ზემოაღნიშნულ რუსეთის საკონსულოს მეშვეობით.

ამგვარად მე ვთხოვ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ამ წერილის მიღებისთანავე იმწამსვე მიპასუხო და მაცნობო ახალი ამბავი შენს შესახებ, რათა მომეცეს საშუალება გაცნობო შენი დედ-მამისა და მახლობლების ამბავი.

შენი ერთგული მეგობარი  
 ალი-ანედი-ეფენდი

(კავკასიის არმიის კავალერიის ლეიტენანტი, მისი მაღალ აღმატებულები საქართველოს გენერალ ანშეფის დიპლომატიურ კანცელარიის წერთი თარჯიმანი—წილოხანი)



его Стефана-эфендия<sup>1</sup>, находящихся ныне начальниками учебных заведений в Каире, равно прочих (эфендиев бывших товарищей) таковых же коих со мною товарищами каковыя обстоятельства представляя оной канцеларии вместе с свидетельством посланного выданным мне от здешнего мусульманского муфтия, покорнейше прошу препроводить оное к Египетскому Российскому консулу для сообщения о том Египетскому паше и Мехкеме для учинения распоряжения, дабы из наследства вышеупомянутого умершего Мирахор-Капичи-Магомет-Аги, согласно существующих между ними обычаев и узаконений, половина часть была выдана мне (если же товарищ мой Селим-эфендий ныне не находится в живых, то наследство это (предоставить мне в полное) за мною числящееся, исключая разных драгоценных вещей, и также в каменном большом доме, стоящем на улице Худумфике близ мечита и завода Египетского Паши, в таковом же состоящем против Камуш и Арир вакалеси, то есть караван-сарая для продажи шелковых и холщевых изделий, в виноградном саде с разными фруктовыми деревьями и домом в нем лежащем в деревне Мония, близ Каира и Шубра. Еще в большом саде близ Абурабели в Бир-Кети Аджия с землей в Оор в потомственном пансионе 30 кести в год, получаемом из присутственного места Рудниме и прочих землях предоставить мне в наследство...“

ფრჩხილებში აღებულია ტექსტის ის ნაწილი, რომელიც წილოსანს ამოწმილი აქვს; შემდეგ ცალკე ფურცელზე გაკეთებულია მინაწერი სხვა ხელით:

„При жизни покойного Мирахор-Магомет-Аги сделан был им акт, коим в случае смерти бездетной дочери его об'являл наследниками своими вольноотпущенников своих, т. е..., Селим (Такмети)-эфендия, меня и давно умершего Гасан-эфендия<sup>2</sup>. Акт сей пред'явлен на утверждение Мехкеме в годах 1818—23 и архивах онного за сими годами непременно отыщется при справк(е) о нем“.

<sup>1</sup> ჩვენი აზრით, მუსტაფა-მუხთარ-ეფენდი და სტეფან-ეფენდი ქართველებია, რომლებთანაც ი. წილოსანს და მის მეგობარს სელიმს მკიდრო კავშირი ჰქონდათ პარიზში.

<sup>2</sup> მონობიდან განთავისუფლებული განსვენებული ჰასან-ეფენდი, როგორც ვტყობა, მოტაცებულთა რიცხვს ეკუთვნოდა.—ვგონებთ, რომ ესეც საქართველოდან უნდა ყოფილიყო.



ი. წილოსნის მიერ თურქულ-არაბულიდან თარგმნილი საბუთების რეესტრიდან ამონაწერი:

Продолжение ведомости под литер А в коем записаны переводы Татарских грамот.

| №№<br>აქტოვ | Лета от<br>Р. Х. и<br>грузин-<br>ского<br>счисле-<br>ния | От кого<br>акты<br>даны               | Наименование акта и доставшиися<br>церкви по оному имения   |
|-------------|--|---------------------------------------|---|
| 522         | 1146<br>Магарема<br>23                                   | От князя<br>Гиви<br>Амилах-<br>варова | Прошение поданное Тифлисскому сераскиру Шах-Паише с жалобой на крестьянских жителей, что они землю, называемую Варданисчала, прилежащую к имению его Нижние Телеты, распахали самопроизвольно. На сем прошении сделана надпись, чтоб Тифлисский кадий оказал просителю законное удовлетворение, вследствие чего кадий удостоверяет, что по опросе при просителе старших крцаниских жителей они подтвердили принадлежность Варданисчала Амилахварову, и по сему кадий велел давать владельцу галу. Распоряжение это Шах Паиша утвердил своею подписью. |
